ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

# კულტურის სფეროს გამოწვევები ახმეტის მუნიციპალიტეტში

„თუშური ბრენდი“

**2020**

„კულტურის სფეროს გამოწვევები ახმეტის მუნიციპალიტეტში“

სარედაქციო ჯგუფის შემადგენლობა: კონსულტანტი და რედაქტორი - ანა მარგველაშვილი (სათემო განვითარების ცენტრი).

მკვლევარები: მარიამ ხაჩიძე, თეონა მინდიაშვილი.

სოციოლოგი - ოთარ სალდაძე.

პროექტის დამხმარე მოხალისეთა გუნდი: თეონა გონჯილაშვილი, ანნა ვეშაგურიძე, მარიამ დარჩიაშვილი, ეკატერინე ჩაჩაური, თინათინ ხეცოიძე, ანი იუკურიძე, ანა იდოიძე, ქეთევან მელაიძე.

ტექსტი: წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ორგანიზაციის „თუშური ბრენდი" მიერ, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

დოკუმენტის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია ორგანიზაცია “თუშური ბრენდი” და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

**სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა**

სარჩევი


1. **პროექტისა და განმახორციელებელი ორგანიზაციის შესახებ**
2. **კულტურა და მუნიციპალური განვითარება**
   2.1. ისტორიული რაკურსი
   2.2. კულტურის სფეროს კომპეტენციები
3. **კვლევის ამოცანები და მეთოდოლოგია**
   3.1. მუნიციპალური კულტურის სფეროს სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლა
   3.2. კულტურის სფეროს წარმომადგენლების აზრის კვლევა
   3.3. სოციოლოგიური კვლევა - მოსახლეობის აზრის შესწავლა

4. **მუნიციპალური კულტურის სფეროს სტრუქტურა და ამოცანები**
   **4.1. ააიპი ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი**
   4.1.1. ააიპი ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საკლუბო გაერთიანება;
   4.1.2. ააიპი ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სამუზეუმო გაერთიანება
   4.1.3. ააიპი ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო გაერთიანება
   4.1.4. ააიპი ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ძეგლთა დაცვის განყოფილება
   4.2. ააიპი ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება
   4.3. ააიპი ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი სკოლა.
   4.4. ღონისძიებები, რეკრეაციული სივრცეები და სხვ.
   4.5. კულტურის სფეროს ფინანსური ანალიზი.
5. **მოსახლეობის ჩართულობა კულტურის სფეროს საქმიანობასა და მართვაში**
6. **კულტურული და სათემო ტურიზმი ახმეტის მუნიციპალიტეტში**
   6.1. კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა და სათემო ტურიზმი
   6.2. ისტორიული სოფლები, როგორც კულტურული ტურიზმის განვითარების რესურსი.
7. **რეკომენდაციები ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს განვითარებისათვის**

8. დანართები
8.1. გამოთხოვილი დოკუმენტაციის სია
8.2. ინტერვიუების სია
8.3. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სია.

## 1. პროექტისა და განმახორციელებელი ორგანიზაციის შესახებ

წარმოდგენილი დოკუმენტი, „**კულტურის სფეროს გამოწვევები ახმეტის მუნიციპალიტეტში**“, მომზადდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ააიპ(ი)-ის **„თუშური ბრენდი“** მიერ პროექტის **„აქტიური საზოგადოება კულტურის განვითარებისთვის“** ფარგლებში და მისი მიზანი იყო ახმეტის მუნიციპალიტეტში ***კულტურის სფეროს (მათ შორის კულტურული ტურიზმის) განვითარების ხელშეწყობა სამოქალაქო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით***; დასახული მიზნის მისაღწევად პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო: მუნიციპალური კულტურის მოქმედი სტრუქტურის შეფასება; ასევე, კულტურის სფეროს აქტორებისა და მოსახლეობის, როგორც მუნიციპალური კულტურის სერვისების მიზნობრივი ჯგუფის აზრის კვლევა.

ა(ა)იპ „თუშური ბრენდი“ დაფუძნდა 2015 წელს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს ცოდნაზე, ინოვაციებზე და შემოქმედებითობაზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობას; შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა-განვითარებას და მასში ადგილობრივი საზოგადოების ჩართვას; კულტურის როლის წარმოჩენას და წინ წამოწევას მდგრადი განვითარების ჭრილში და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში; ასევე, მუნიციპალური კულტურის სფეროში დასაქმებულთა და დასაქმების მოტივაციის გაზრდას; კულტურის ეკონომიკის განვითარებას; ადგილობრივი ეთნო-კულტურის პოპულარიზაციას და ინტერნაციონალიზაციას, კულტურის სფეროს მართვის დემოკრატიზაციას; კულტურის სექტორში მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებას.

ორგანიზაციის შექმნას წინ უძღოდა მოხალისეობრივად განხორციელებული სხვადასხვა საქმიანობა კულტურის სფეროში, რამაც საფუძველი ჩაუყარა თუშური ბრენდის ადგილობრივი არქივის შექმნას. არქივში თავმოყრილია ტრადიციული ფოლკლორული ნიმუშები, ფოტოები, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, მცირე რაოდენობის დოკუმენტი და არტეფაქტი. არქივის ბაზაზე თუშური ბრენდის წარმომადგენლების ინიციატივით და „თუშეთის განვითარების ფონდის მხარდაჭერით“ 2015 წლიდან შეიქმნა „ფოლკლორის სახლი“, რომლის მიზანიცაა ტრადიციული მუსიკალური ფოლკლორული ნიმუშების შესწავლა, დამუშავება და პოპულარიზაცია. ასევე, ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა.

დაარსების დღიდან ორგანიზაცია აქტიურად არის ჩართული ადგილობრივი კულტურული დღესასწაულებისა თუ ფესტივალების ორგანიზებაში. მათ შორის, ორგანიზება გაუწია 2016-2017 წწ.-ებში სახალხო დღესასწაულს „ზეზვაობა“; პერიოდულად ატარებს როგორც

ტრადიციულ, ისე ექსპერიმენტალურ კონცერტებს; თანამშრომლობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან (ორგანიზაციის წარმომადგენელი არის კონსერვატორიის ქალთა ფოლკლორული ანსამბლის წევრი), ფოლკლორის ცენტრთან და მონაწილეობას იღებს მათ მიერ დაგეგმილ ეთნომუსიკოსთა კონფერენციებსა და კონცერტებში. ასევე, ორგანიზაცია თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორებთან.

„თუშური ბრენდის“ შექმნის თავდაპირველი იდეა და ძირითადი მიზნები უკავშირდება თუშეთის მხარეს და თემს, რომელიც წარმოადგენს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულს. თუშეთს ტრადიციული საქმიანობის, სპეციფიკური ყოფიერების და ბუნებრივი კლიმატური პირობების გამო, სეზონური ადგილმონაცვლეობა ახასიათებს და მოსახლეობა წლის განმავლობაში დროის ნახევარს ახმეტის ადმინისტრაციის ერთეულში შემავალ სათემო სოფლებში, ქვემო და ზემო ალვანში ატარებს. შეიძლება ითქვას, რომ ზამთრის სეზონი მთლიანი მუნიციპალიტეტისთვის, როგორც ტურისტული თვალსაზრისით, ასევე საზოგადოებრივი აქტივობით, უკიდურესად პასიურია. მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია არსებული კულტურული რესურსების ფუნდამენტური მოკვლევით, ოპტიმალური გამოყენებით და, ზოგადად, კულტურის როლის ახლებურად გააზრებით ადგილობრივ მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების ჭრილში. მიუხედავად ორგანიზაციის თავდაპირველი ვიწრო მიზნისა, წარმოდგენილმა კვლევითმა პროექტმა მოიცვა მთლიანად ახმეტის მუნიციპალიტეტი და იმედი გვაქვს, სარეკომენდაციო დოკუმენტი დაეხმარება შესაბამის მუნიციპალურ სამსახურებს უფრო ეფექტიანად დაგეგმონ მოსახლეობის საჭიროებზე ორიენტირებული კულტურის ადგილობრივი სერვისები და იმსჯელონ კულტურის სფეროს განვითარების გრძელვადიანი ხედვის ფორმირების აუცილებლობაზე, რაც მუნიციპალიტეტის დონეზე არაერთი დადებითი პროცესის გამომწვევი შეიძლება გახდეს.

## 2. კულტურა და მუნიციპალური განვითარება

*„კულტურა გულისხმობს ხელოვნებას, კულტურულ მემკვიდრეობას, კულტურულ ღონისძიებებსა და განათლებას, ასევე კულტურის სფეროს მწარმოებლებს, სერვისებსა და ინდუსტრიას. კულტურა არის სფერო, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა ჩართულობას, ხელს უწყობს მონაწილეობას, მრავალფეროვნებას და, ცალსახად, დემოკრატიულ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, იგი მიმართულია მთლიანად საზოგადოებაზე და არა გარკვეულ ელიტურ ჯგუფებზე. კულტურა წარმოადგენს სამოქალაქო ღირებულებებისა და საზოგადოების მოდერნიზების საშუალებას. იგი ხელს უწყობს მიკუთვნებულობის, იდენტობის ფორმირებას და იმავდროულად ადამიანთა ცხოვრების ხარისხის ზრდას, ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას და თვალსაწიერის გაფართოებას. კულტურის სფერო ასახავს ვინ ვიყავით ჩვენ, ვინ ვართ ამჟამად და ვინ გვინდა ვიყოთ.“* (სიღნაღი კულტურისათვის, სათემო განვითარების ცენტრი, 2014)

კულტურულ-ისტორიული თუ ბუნებრივი ძეგლებით, შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და კულტურის ტურიზმის განვითარების პოტენციალით, ახმეტის მუნიციპალიტეტი საქართველოს ერთ-ერთი საკმაოდ მდიდარი რაიონია. თუ რამდენად ხდება აღნიშნული კულტურული რესურსების გამოყენება, როგორია კულტურის სფეროს სერვისების მიწოდება და ხარისხი, - ამ და სხვა საკითხებზე პასუხის გაცემას წინამდებარე დოკუმენტი შეეცდება.

კვლევა ცდილობს შეაფასოს ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის სერვისების ხელმისაწვდომობა, მუნიციპალიტეტის სოფლების კულტურის ტურიზმის პოტენციალი და ზოგადად, სოფლების ჩართულობა და მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში. კვლევა, ასევე, ცდილობს შეიმუშავოს რამდენიმე საკვანძო რეკომენდაცია, რომელთა ეტაპობრივი განხორციელებაც ხელს შეუწყობდა ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს, მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებულ, მართვის სისტემის და ადგილობრივი კულტურის განვითარების სტრატეგიული ხედვის ფორმირებას.

***„სჭირდება თუ არა მუნიციპალიტეტს კულტურის განვითარებაზე ზრუნვა? რა როლი შეიძლება ეკისრებოდეს კულტურას რეგიონული განვითარების პროცესებში და რატომ უნდა იყოს დაინტერესებული მუნიციპალიტეტი განავითაროს კულტურის სერვისები და ზოგადად კულტურის სფერო, მიუხედავად მუნიციპალური სამსახურების წინაშე მდგარი სხვა ბევრი პრობლემისა?“*** ამ და სხვა შეკითხვებით იწყება კახეთის მხარეში, კერძოდ, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში 2017 წელს ჩატარებული კვლევის **„კულტურის სფეროს მართვა სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში“** შემაჯამებელი ანგარიში. [1] ეს იმ იშვიათ კვლევათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც მუნიციპალური კულტურის სფეროს სხვადასხვა საკითხს სწავლობს და ადგილობრივი განვითარების პროცესებში, პირველ რიგში, სწორედ კულტურის როლის გააზრებას ცდილობს. თავის მხრივ, აღნიშნული კვლევა, 2014 წელს სიღნაღის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ უფრო ზოგად კვლევით პროექტს **„სიღნაღი კულტურისათვის“** დაეყრდნო, რომლის ფარგლებშიც მოხდა მუნიციპალური კულტურის რესურსების მაქსიმალური აღწერა და ადგილობრივი კულტურის სტრატეგიის განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. [2] აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კვლევები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ იყო ინიცირებული და იგივე ითქმის თითქმის ყველა იმ კვლევაზე, რომელიც უკანასკნელ 10 წლეულში კახეთში სწორედ მუნიციპალური კულტურის სხვადასხვა ასპექტის შესწავლისა და არსებული ვითარების შეფასებისკენ იყო მიმართული.[3]

ამჟამად კი, ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს საკმაოდ ფართო კვლევების განმახორციელებელმა ორგანიზაციამ გადადგა პირველი ნაბიჯები იმ გრძელვადიანი პროცესის წარმართვისათვის, რასაც ადგილობრივი კულტურის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ჰქვია და რომლის გარეშეც ადგილზე კულტურის სფეროს გამართული

---

[1] განმახორციელებელი ორგანიზაცია - სათემო განვითარების ცენტრი (CDC), ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) მხარდაჭერით (2017 წ.)

[2] პროექტი „სიღნაღი კულტურისათვის“ განახორციელეს სათემო განვითარების ცენტრმა (CDC), სათემო კავშირმა „ნუკრიანმა“ (CUN) და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრმა (CTC) 2014 წელს, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

[3] აღსანიშნავია ასევე პროექტი **„აქტიური ახალგაზრდობა კულტურული მემკვიდრეობისათვის“** (2014 წ.) - პროექტის ფარგლებში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში (ქვემო მაჩხაანი, ტიბაანი, საქობო და ვაქირი) კვლევა ჩაატარეს საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა „კულტურული მემკვიდრეობის არასამთავრობო მონიტორინგი“ და „სამოქალაქო ინიციატივა“. მათ აღწერეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ძირითადად კი - კახური ტრადიციული სახლები და შედეგები ფართო საზოგადოებას გააცნეს. პროექტის მხარდამჭერი იყო ღია საზოგადოების ფონდი (OSGF).

მუშაობა რთულად წარმოსადგენია. წინამდებარე დოკუმენტი, თავის მხრივ, ავსებს და განავრცობს უკანასკნელ ათწლეულში კახეთის მხარეში ამ მიმართულებით ჩატარებულ კვლევებს და იძლევა სიტუაციის უფრო კომპლექსურად აღქმისა და სიღრმისეული ანალიზის საშუალებას. გულისწყვეტით უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალური კულტურის სფეროს მართვის სისტემაში დიდი წინსვლა 2014 წლიდან მოყოლებული არ შეინიშნება. (იხ. სიღნაღის და დედოფლისწყაროს სისტემების შეფასება).

## 2.1. ისტორიული რაკურსი

საბჭოთა პერიოდში, არაერთ სოფელში მოქმედებდა სხვადასხვა კულტურის დაწესებულება (კულტურის სახლები, სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, ფოლკლორული ანსამბლები, სახლ-მუზეუმები და სხვა); მიუხედავად იმჟამინდელი ცენტრალიზებული, კონტროლს (ცენზურას) დაქვემდებარებული მმართველობისა, ეს დაწესებულებები მაინც მეტ-ნაკლებად ახერხებდა სოფლის დონეზე სხვადასხვა კულტურის სერვისის მიწოდებას მოსახლეობისთვის და მათი ჩართულობის უზრუნველყოფას კულტურულ-საგანმანათლებლო (არაფორმალური განათლება) აქტივობებში, - იქნებოდა ეს ხელობის შემსწავლელი თუ დრამატული, სიმღერისა ან ცეკვის (1980-იანი წლების ბოლოს, არაერთ სოფელში ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებიც ჩნდება) წრეები.

რაიონული კულტურის პოლიტიკა, საბჭოთა იდეოლოგიის ფარგლებში დაშვებული სერვისების მიწოდებით, ცდილობდა მაქსიმალურად შეევსო ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრება და სოფლის ყოველდღიურობაში სავსე კულტურული ცხოვრების განცდა შეექმნა; ის ხელს უწყობდა მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას კულტურის წრეების მუშაობაში. ამ პოლიტიკის განხორციელებისათვის შექმნილი იყო შესაბამისი (ხშირად სოფლის მასშტაბთან შედარებით სრულიად არაადეკვატური მასშტაბის) კულტურის ინფრასტრუქტურა, რომელსაც სერვისების მსგავსად, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტი ინახავდა. არსებობს მოსაზრება, რომ მსგავსი ერთ სივრცეში თავმოყრილი, ცენზურის მიერ დაშვებული პროგრამების განხორციელებით და ამ პროგრამებში მოსახლეობის მონაწილეობის სტიმულირებით, რეპრესიული და ვერტიკალური ხელისუფლება - საზოგადოებრივი ცხოვრების კონტროლსაც ახორციელებდა და კულტურის სფეროშიც (ისევე, როგორც სხვა სფეროებში) თვითმოქმედების შესაძლო სცენარებს გამორიცხავდა.

საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად, სოფლის დონეზე მოქმედმა კულტურის დაწესებულებებმა მუშაობა ძირითადად შეაჩერეს. ტრანსფორმაციის პერიოდში მყოფ მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და შეირაღებული კონფლიქტების წინაშე მდგარ ქვეყანას, რომელიც მაშინღა იდგამდა ფეხს დემოკრატიის გზაზე, მუნიციპალური კულტურისათვის ნაკლებად ეცალა. დედაქალაქში კულტურული ცხოვრების იმპულსებმა და სცენის განვითარებამ, დიდწილად, კერძო შემოქმედებით ინიციატივებზე გადაიარა. რეგიონებში კი, უფუნქციოდ დარჩენილი კულტურის ინფრასტრუქტურა (შენობა-ნაგებობები, სკვერები, აქა-იქ არსებული ღია სცენები და ა.შ.) ეტაპობრივად გამოვიდა მწყობრიდან; დიდი ნაწილი განადგურდა ან განადგურების პირას მივიდა; სოფლის მოსახლეობა კი, წლების მანძილზე კულტურის სერვისების გარეშე იყო დარჩენილი; არაერთ სოფელში ეს სიტუაცია დღემდე ნარჩუნდება.

მართალია, კულტურის დაწესებულებების (სერვისების მიმწოდებელი) დიდი ნაწილი გარკვეული ფორმალური სახეცვლილებებით მუნიციპალურ დონეზე დღესაც არსებობს, თუმცა, მათი არსებობა, ხშირ შემთხვევაში, უფრო ძველი ტრადიციის ინერციას ჰგავს და საკმაოდ იშვიათად ეყრდნობა მაგ. წინმსწრებ საჭიროებათა კვლევას ან სხვა ტიპის ანალიზს; ამიტომ, როგორც წესი, დღევანდელ მუნიციპალიტეტებში კრიტიკას ვერ უძლებს კულტურის სფეროში არსებული სერვისები, მათი დაგეგმვის მეთოდები და ხშირად მიწოდების (დაფარვის) ხარისხიც, რომ აღარაფერი ვთქვათ კულტურის ინფრასტრუქტურის მდგომარეობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 წელიწადში წინა პერიოდთან შედარებით, თითქოს, მეტი ყურადღება და რესურსები ეთმობა კულტურის ინფრასტრუქტურის ეტაპობრივ შეკეთება-აღდგენას, დამოკიდებულება მთლიანად სფეროს მიმართ, დიდად არც დამოუკიდებლობიდან 30 წლის შემდეგ შეცვლილა: დღესაც სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, არცთუ ისე იშვიათად გავიგებთ ადგილობრივი თვითმმართველობის ან თავად მოსახლეობის მხრიდან მიდგომას, რომ უმუშევრობისა და სიღარიბის, ინფრასტრუქტურული და სხვა მუნიციპალური პრობლემების ფონზე, კულტურის პროგრამების განხორციელება და კულტურის სფეროს განვითარებაში მეტი ინვესტირება აქტუალური არ არის; შესაბამისად, კულტურაც ვერ გახდება მუნიციპალური პრიორიტეტი. კულტურის სფეროს მიმართ ამ გავრცელებული დამოკიდებულების გამოძახილი შეიძლება იყოს ის, რომ სოფლებში და რაიონულ ცენტრებში კულტურული ცხოვრება თითქმის ჩამკვდარია და ისიც, რომ თითქმის არცერთ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია კულტურის განვითარების ადგილობრივი ხედვა, მიუხედავად იმისა, რომ კულტურა სწორედ მუნიციპალური კომპეტენციაა. აღნიშნული დამოკიდებულება დასტურდება მუნიციპალურ დონეზე კულტურის სფეროს მართვის სისტემის, უშუალოდ სერვისების, კულტურის პროგრამების და კულტურის ინფრასტრუქტურის დღევანდელი მდგომარეობის შეფასებისასაც;

აღსანიშნავია, რომ კულტურამ სათანადო ასახვა ვერც კახეთის მოქმედ განვითარების სტრატეგიაში (2014-2021) ჰპოვა. კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა სტრატეგიაში დასახელებულია, როგორც ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობა და ძლიერი მხარე, რაც თავისთავად სწორია, თუმცა, არასაკმარისი. **კულტურის სერვისები ადგილობრივ მოსახლეობას ტურიზმისგან დამოუკიდებლად ესაჭიროება.** კახეთის განვითარების სტრატეგიაში კულტურის დარგის შეფასების და განვითარების, კულტურის ინფრასტრუქტურის და კულტურის სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის საკითხის არასახვა იმის მაჩვენებელად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კულტურა კვლავაც არ წარმოადგენს პრიორიტეტს, და კვლავაც არ ხდება მისი როლის სათანადოდ განხილვა არც ადგილობრივი მოსახლეობის პიროვნული და არც მუნიციპალური განვითარების ჭრილში.

2014 წელს, საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება, სხვა მრავალ საკითხთა შორის, კულტურასა და ამ სფეროში თანამშრომლობასაც შეეხება. „თუშური ბრენდის“ კვლევითი პროექტის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ასოცირების ხელშეკრულების რამდენიმე მუხლთან მიმართებით - მუნიციპალიტეტში არსებული ვითარების შეფასება იყო. ე.ი. ხელშეკრულების იმ მუხლებით გათვალისწინებული საქმიანობის მონიტორინგი და ადვოკატირება, რომლებიც გულისხმობს კულტურის სფეროს განვითარებას და საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას კულტურულ ცხოვრებაში. ასოცირების ხელშეკრულება შეეხება ისეთ საკითხებსა და ორმხრივი თანამშრომლობის პრინციპებს, როგორებიცაა მაგ. მუხლი - 329 (a) ადგილობრივი

თემების, განსაკუთრებით სოფლად თვითმყოფადობისა და ინტერესების პატივისცემა, ადგილობრივი განვითარების საჭიროებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით; (b) კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა, c) ტურიზმსა და გარემოს დაცვას შორის პოზიტიური ურთიერთქმედება, და მუხლი 360 (b) ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა დასაქმებულების მობილურობის გაზრდის ხელშეწყობა, რაც წარმოადგენს კულტურათაშორისი დიალოგის, ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის მიღების ხელშეწყობის მექანიზმს, მათ შორის, მოხალისეობის გზით და სხვ. ამ მხრივ, კვლევამ სოფლად კულტურული მემკვიდრეობისა და სათემო ტურიზმის პოტენციალი შეაფასა (იხ. თავი 5).

## 2.2. კულტურის სფეროში კომპეტენციების განაწილება[4]

2014 წელს მიღებული ორგანული კანონის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მიხედვით, კულტურა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა. სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები უნდა ზრუნავდნენ ადგილზე მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობაზე, მოქალაქეების საჭიროებაზე დაფუძნებული კულტურის სერვისების მიწოდებასა და, ზოგადად, კულტურულ ცხოვრებაში მათ ჩართულობაზე. მე-16 მუხლი შემდეგ ამოცანებს ჩამოთვლის: *ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში ახალი ობიექტების მშენებლობა და სხვ. თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობა უფლებამოსილია შეიმუშავოს პროგრამები, სტრატეგიები, განახორციელოს პროექტები და ა.შ.*

კულტურის სფეროს მარეგულირებელი მთელი რიგი დამატებითი საკანონმდებლო ნორმები სხვადასხვა სპეციალურ კანონმდებლობებშია გაფანტული, თუმცა, უფლებამოსილებათა გამიჯვნისას, მათ შორის, კულტურის სფეროში, გასათვალისწინებელია საკანონმდებლო იერარქია. იმ შემთხვევაში, თუ ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები განსხვავებულად აწესრიგებენ ამა თუ იმ საკითხს და წინააღმდეგობაში მოდის თვითმმართველობის კოდექსთან, კოდექსს გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა, რადგან წარმოადგენს ორგანულ კანონს.

„კულტურის შესახებ“ კანონის მიხედვით, გამიჯნულია ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციები კულტურის სფეროში. კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას; მათ შორისაა, სახელმწიფო კულტურული პოლიტიკისა და პროგრამების განსაზღვრა. აღნიშნული ნორმა არ გამორიცხავს თვითმმართველობის უფლებამოსილებას – შეიმუშავოს მუნიციპალური კულტურის განვითარების ხედვა და სტრატეგია სწორედ ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით,

[4] მომზადებულია სათემო განვითარების ცენტრის 2014 წ. გამოცემის „სიღნაღი კულტურისათვის“ მიხედვით.

ხოლო არსებული სახელმწიფო კულტურის პოლიტიკა, მის საორიენტაციო, სამაგალითო სამუშაო ჩარჩოს წარმოადგენდეს.[5]

რაც შეეხება კულტურის სახელმწიფო სტრატეგიას, ის საქართველოს კულტურის სამინისტრომ 2014-2016 წლებში შეიმუშავა და 2016 წლის 1 ივლისს მთავრობამ #303 დადგენილებით დაამტკიცა; „კულტურის სტრატეგია 2025“ განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს კულტურის სხვადასხვა დარგის წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. დოკუმენტში ადგილობრივი თვითმმართველობის *მნიშვნელოვანი როლი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით არის აღნიშნული:*

*1) კულტურის სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების უზრუნველყოფის კუთხით (მიზანი 2.1);*

*2) კულტურისა და სხვა სფეროების ურთიერთმიმართების კუთხით; ხაზგასმულია კულტურის ინტეგრირების მნიშვნელობა სხვადასხვა დარგის, სამთავრობო უწყების, მუნიციპალიტეტის განვითარების პოლიტიკაში (მიზანი 3.1.);*

*3) კულტურის დაფინანსებისა და წახალისების ინოვაციური მიდგომების დანერგვის, საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე და ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველყოფის მიმართულებით (მიზანი 4.1);*

*4) კულტურის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში „კარგი მმართველობის“ პრინციპების დანერგვის მიმართულებით (მიზანი 8.1);*

*5) კულტურის კვლევებისა და სტატისტიკის წარმოებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით (მიზანი 8.2).*

კულტურის სტრატეგიამ შექმნა ერთგვარი ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის განვითარების სტრატეგიების შემუშავება ხდება შესაძლებელი პოლიტიკის დოკუმენტის პრიორიტეტებთან შესაბამისად. კვლევის ამ ეტაპზე უცნობია რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა 2016 წლიდან მოყოლებული სტრატეგიის იმპლემენტაციის მხრივ; განსაკუთრებით სწორედ მუნიციპალიტეტების დონეზე. დაკვირვება აჩვენებს, რომ არც კულტურის სტრატეგიის მიღების შემდეგ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი გარღვევა მუნიციპალიტეტებში კულტურის სერვისების დაგეგმვა-მიწოდება და ხარისხის კონტროლისა თუ კულტურის სფეროს მიმართ ზოგადი დამოკიდებულებების ცვლილების მხრივ;

კულტურის სფერო მუნიციპალურ დონეზე კვლავაც მრავალი გამოწვევის წინაშე რჩება და საკუთარი უფლებამოსილებების არცთუ გრძელი სიიდან ამ კონკრეტულ უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტები სათანადოდ არ იყენებენ არასაკმარისი დაფინანსების, სხვადასხვა დაწესებულებებს შორის ნაკლები კოორდინაციის და თანამედროვე მართვის მიდგომების და დარგობრივი ცოდნის დეფიციტისა და სხვა მიზეზების გამო. ადგილობრივი (მუნიციპალური) კულტურის განვითარების ქმედითი სტრატეგია - მიღებული ფართო-მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესით და დამტკიცებული შესაბამისი თვითმმართველი ორგანოების მიერ - ნაკლებად რომ რომელიმე მუნიციპალიტეტს ჰქონდეს შემუშავებული. გამონაკლისი, ამ მხრივ, არც ახმეტის მუნიციპალიტეტია. განვითარების გრძელვადიანი ხედვის არქონა კი, უარყოფითად აისახება კულტურის სფეროს დღევანდელ მუშაობაზე.

[5] როგორ ვაქციოთ კულტურა ადგილობრივი განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტად?, ანა მარგველაშვილი – სათემო განვითარების ცენტრი, ვებ-გვერდი „თვითმმართველობის დროა“, 19.02.2019, https://droa.ge/?p=42645

## 3. კვლევის ამოცანები და მეთოდოლოგია

კვლევის უმთავრესი მიზანი ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს ანალიზი, სერვისებზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების, კულტურის მოქმედი სტრუქტურისა და ინფრასტრუქტურის შეფასება იყო; აქედან გამომდინარე, კვლევის მთავარ მიმართულებებს წარმოადგენდა:

- ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროში არსებული საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის შესწავლა;
- კულტურის სფეროს  განვითარების (მათ შორის, კულტურული ტურიზმი) მხრივ მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების გამოვლენა და კულტურული სივრცეების მდგომარეობის შესწავლა;
- ადგილობრივი მოსახლეობის  კმაყოფილების დონის შეფასება კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესებთან მიმართებით და მათი აზრის ასახვა კვლევის რეკომენდაციებში.

ამ მიზნის მისაღწევად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი კვლევა მოიცავდა რამდენიმე ეტაპს და კომპონენტს:

1) **მუნიციპალური კულტურის სფეროს სტრუქტურის შესწავლა:** დოკუმენტური კვლევა (desk research) და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა-დამუშავება მუნიციპალური კულტურის სამსახურებთან დაკავშირებით; ინტერვიუების ჩაწერა  კულტურის დაწესებულებებში მომუშავე პირებთან და ინტერვიუების მეშვეობით არსებული სიტუაციის ანალიზი;
2) **საზოგადოებრივი აზრის კვლევა** კულტურის სფეროს წარმომადგენლების ჩართულობით; შერჩეულ სათემო სოფლებში შეხვედრების ორგანიზება კულტურის სფეროს მუშაკებთან და სხვადასხვა ჯგუფთან ინტერვიუს ჩაწერა.
3) მუნიციპალური **კულტურის სერვისებზე მოთხოვნა-მიწოდება-ხელმისაწვდომობის კვლევა** სოციოლოგიური ანკეტირების მეშვეობით; ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლების მაცხოვრებლების დამოკიდებულებისა და კმაყოფილების კვლევა არსებულ მუნიციპალურ კულტურულ პროგრამებთან და სერვისებთან;
4) **ადვოკატირების კამპანია** - ზემოთ აღნიშნული კვლევების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება და მათი მიწოდება-გაცნობა როგორც მუნიციპალიტეტში დასაქმებულ პირთათვის, ისე ფართო საზოგადოებისთვის. გარდა ამისა, ლექცია-ტრენინგების მეშვეობით და არსებული კულტურული რესურსების გამოყენებით კულტურის სფეროს განვითარების პოტენციალის წარმოჩენა, საზოგადოებრივი ჩართულობის როლი და ამ სფეროს განვითარების შედეგად მიღებული სოციალური და ეკონომიკური სარგებელის ჩვენება.

უფრო დეტალურად  კვლევის თითოეულ კომპონენტზე:

## 3.1. მუნიციპალური კულტურის სფეროს სტრუქტურის შესწავლა

კვლევის პირველ ეტაპს წარმოადგენდა ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლა. პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა გააცნო ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირებს პროექტის არსი და მიზანი. ე.წ. სამაგიდე კვლევის მეთოდით, შესაბამისი სამსახურებისაგან მოხდა იმ დოკუმენტების გამოთხოვა, რომელთა მეშვეობითაც შეიქმნებოდა მთლიანი სურათი ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს მდგომარეობის შესახებ. უფრო კონკრეტულად, მუნიციპალიტეტისგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია კულტურის სფეროში მოქმედი ა(ა)იპი-ების, მათი საშტატო ერთეულისა და წლიური ბიუჯეტის, სამსახურების სამუშაო პროგრამების და ფინანსური ანგარიშების შესახებ. ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ კულტურული ღონისძიებებისა და პროგრამებისათვის გამოყოფილი დამატებითი ხარჯების სია (2017-2019 წწ.), ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხა, კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია (დაფინასება თუ მივლინებები) და სხვ.[6]

სამწუხაროდ, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიამ თავდაპირველად ვერ უზრუნველყო შესაბამისი დოკუმენტებისა და ინფორმაციის გაცემა. საპასუხო წერილში მერიამ პროექტის გუნდს სტრუქტურული დახასიათების და გამოთხოვილი დეტალური ხარჯების ნაცვლად, ჯამური ხარჯვითი მონაცემები მოაწოდა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, რთული იქნებოდა კვლევის დაგეგმილი სახით ჩატარება და კულტურის სფეროს საქმიანობის მონიტორინგი. ამიტომ, პროექტის განმახორციელებელმა გუნდმა დამატებით განახორციელა შეხვედრები ახმეტის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრის“ და მერიის თანამშრომლებთან. აღსანიშნავია, რომ ააიპი-ის „კულტურის ცენტრი“ დაქვემდებარებაშია მუნიციპალიტეტში მოქმედი თითქმის ყველა კულტურული სერვისი და რესურსი.

მართალია, დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების საშუალებით, საერთო სურათში მეტი სიცხადე შევიდა, თუმცა, მთლიანობაში არც ახლა იყო საკმარისი მოწვდილი ინფორმაცია. დოკუმენტების გამოთხოვა-მიღების პროცესი გაგრძელდა მთლიანად პროექტის მსვლელობის პარალელურად, რამაც დიდად შეაფერხა კვლევის წინასწარ გაწერილი გეგმით წარმართვა, და შესაბამისად, მონაცემების ერთიანი ანალიზი. თუმცა, პროექტის გუნდის მიერ დამატებითი ვიზიტებითა და კონტაქტებით მოხერხდა დოკუმენტების თავმოყრა და დამუშავება.

## 3.2. საზოგადოებრივი აზრის კვლევა კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან

საზოგადოებრივი აზრის კვლევა ჩატარდა საველე პირობებში ახმეტის მუნიციპალიტეტის 14 თემში (მათ შორის ერთი ქალაქი (ახმეტა); 13 თემში ინტერვიუებს ჰქონდა საუბრების ფორმატი ზოგადად თემში არსებული ვითარების და კულტურის სერვისებისა თუ ინფრასტრუქტურის

[6] გამოთხოვილი და მოწოდებული დოკუმენტაცია იხ. დანართი # 1

შესახებ; რესპოდენტებს ეძლეოდათ თავისუფალი თხრობის საშუალება, და შესაბამისად, მონათხრობი შეეხებოდა არა მხოლოდ უშუალოდ კულტურის სერვისების შეფასებას, არამედ ზოგადად ინფორმაციას სოფლის, ამა თუ იმ მოვლენის, ობიექტის და სხვ. შესახებ.

თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, ჯამში ჩატარდა 60 ინტერვიუ: 8 სატელეფონო, 11 ჯგუფური და 41 პირისპირ ინტერვიუ; ინტერვიუთა უდიდესი ნაწილი (58 ინტერვიუ) განხორციელებულია აუდიოჩაწერის თანხლებით; მოსახლეობისაგან ინფორმაციის შესაგროვებლად განხორციელდა გამოკითხვა სტანდარტული კითხვარის მიხედვით. კვლევის ამ ეტაპზე, ჯამში გამოიკითხა 120-მდე რესპოდენტი (ჯგუფური ან პირისპირ ინტერვიუს ფორმით).

ინტერვიუები უმეტესად ჩატარდა წინასწარი შერჩევის საფუძველზე (მიზნობრივი შერჩევა). კერძოდ, დიდწილად გამოიკითხნენ ის ადამიანები, რომელნიც საქმიანობენ ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე კერძო თუ საჯარო კულტურულ დაწესებულებებში, ან სხვა ფორმით იღებენ მონაწილეობას ამ დაწესებულებების საქმიანობაში (სახელოვნებო სივრცეები, ბიბლიოთეკები, მუსიკალური სკოლები, მუზეუმები, კულტურის სახლები, ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები და სხვა).[7]

### 3.3. მუნიციპალური კულტურის სერვისებზე მოთხოვნა-მიწოდება-ხელმისაწვდომობის კვლევა სოციოლოგიური ანკეტირების მეშვეობით;

[7] იხ. ინტერვიუების სია იხ. დანართი # 2

მიმდინარე კვლევის რაოდენობრივი ნაწილის განსახორციელებლად შემუშავდა რაოდენობრივი მეთოდისთვის დამახასიათებელი კითხვარი. აღნიშნული კითხვარი მოიცავდა 4 ძირითად ბლოკს, რომელთა დახმარებით შეგროვდა მონაცემები მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული დაწესებულებებისა და მათი მოხმარების შესახებ ზოგადი ინფორმაციის, რეგიონში მიმდინარე პროექტებისა და მუნიციპალიტეტში ტურიზმის კუთხით მიმდინარე საქმიანობის თაობაზე მოსახლეობის ცნობიერება-დამოკიდებულებების შესახებ, ხოლო მეოთხე და დასკვნითი ბლოკი მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების შეგროვებას ისახავდა მიზნად. კვლევის შესაბამისად, შერჩევის ერთობლიობას წარმოადგენდა ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა. კვლევის ფარგლებში შეირჩა 14 თემი, რომელთაგანაც პროპორციული შერჩევის მეთოდით გამოიკითხა 411 რესპონდენტი (იხ. ცხრილი) შერჩევა მოხდა საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ 2014 წელს ჩატარებული აღწერის საფუძველზე.

| **თემი** | **ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა** |
|---|---|
| ახმეტა (სათემო) | 90 |
| მატანი (სათემო) | 63 |
| ზემო ალვანი (სათემო) | 40 |
| ქვემო ალვანი (სათემო) | 32 |
| დუისი (სათემო) | 38 |
| ქისტაური (სათემო) | 20 |
| ზემო ხოდაშენი (სათემო) | 17 |
| ხალაწანის თემი | 21 |
| ჯოყოლოს თემი | 19 |
| ოჟიოს თემი | 15 |
| საკობიანოს თემი | 16 |
| მაღრაანის თემი | 10 |
| შახვეტილას თემი | 10 |
| კასრისწყალი | 11 |
| **ჯამი** | **411** |

საველე სამუშაოები 13 ივნისიდან 26 ივნისამდე პერიოდში განხორციელდა. ველზე მუშაობდა 10 ინტერვიუერი, რომელთაც ველზე გასვლამდე გაიარეს ტრენინგი მუშაობის სპეციფიკის გასაცნობად. ინტერვიუები ტარდებოდა პირისპირი გამოკითხვის მეთოდით, წინასწარ ამობეჭდილი კითხვარების დახმარებით. საველე სამუშაოები დაიწყო სოფელ მატანში და დასრულდა ქვემო ალვანში.

შეგროვებულმა მონაცემებმა პირველ ეტაპზე თავი მოიყარა წინასწარ გამზადებულ ექსელის დოკუმენტში. მონაცემების შეყვანა მოხდა ინტერვიუერების მიერ, ორ ეგზემპლიარად, რათა მინიმუმამდე დასულიყო შეყვანილ მონაცემებს შორის არსებული შეცდომების რაოდენობა. შეყვანილი მონაცემები გაიწმინდა, მოწესრიგდა და სახელები დაერქვა სტატისტიკურ

პროგრამა STATA-ში, ხოლო მონაცემების დამუშავება მოხდა სტატისტიკურ პროგრამა IBM SPSS-ში. მონაცემები შეწონილია ახმეტის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული მონაცემების საფუძველზე და მისი განზოგადება შესაძლებელია მხოლოდ ამავე მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე. კვლევის ცდომილება 0.5%, ხოლო სანდოობის ზღვარი 95%-ია.

## 4. მუნიციპალური კულტურის სფეროში მოქმედი სამსახურების სტრუქტურა

**საკრებულოს დონე:** ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლიდან (დადგენილება # 40, 06.06.2018) მოქმედებს **სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია,** რომლის უფლებამოსილებებიც განსაზღვრულია დადგენილების მე-2 მუხლით და, სხვათა შორის, მოიცავს:

„1. კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს: ა) სოციალური, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა განვითარების მუნიციპალური პროგრამების პროექტების შესახებ: გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამების პროექტების შესახებ; ე) ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების, საზოგადოებრივი და სამართლებრივი განათლების, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა;“ და სხვ. დადგენილების მე-4 მუხლის მიხედვით კომისიაში ფორმირდება სამუშაო ჯგუფები და კერძოდ „კომისია უფლებამოსილია ფუნქციური დაჯგუფების მიხედვით კომისიის წევრთაგან შექმნას კომისიის სამუშაო ჯგუფები: ა) განათლების, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხთა სამუშაო ჯგუფი; ბ) სოციალური უზრუნვეყოფისა და დასაქმების სამუშაო ჯგუფი.“ - ნიშანდობლივია, რომ კულტურის საკითხებზე სამუშაოს ჯგუფის შექმნის აუცილებლობა არც საკრებულოს აღნიშნული მუდმივმოქმედი კომისიის დადგენილებაში არ არის ხაზგასმული და წინ წამოწეული, მიუხედავად კომისიის სახელწოდებაში „კულტურის“ ფიგურირებისა.

**მერიის დონეზე:** ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედებს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (შემდეგში „სამსახური“), რომლის თანამშრომელთა რაოდენობა არის 8 (სამსახურის უფროსი, განყოფილების უფროსი და 6 სხვადასხვა რანგის სპეციალისტი); ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 თებერვლის №7 დადგენილებით დამტკიცდა „სამსახურის“ დებულება. სამსახური არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საკითხთა მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. სწორედ ეს სამსახური უნდა შეიმუშავებდეს (დებულების მუხლი 3) შესაბამის მუნიციპალურ პროგრამებს და ახორციელდებეს კოორდინირებულ მუშაობას. ამავე სამსახურის კომპეტენციაში შედის: „გ) მუნიციპალური მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკებისა და სხვა დაწესებულებების მართ ვა; დ) მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა: სპორტის მუნიციპალური პროგრამებისა და წლიური გეგმის შემუშავება, სპორტის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება; ე) ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით წინადადებებისა და მუნიციპალურ პროგრამათა მომზადება; ვ) ახალგაზრობის პრობლემების შესწავლა, წინადადებათა შემუშავება არსებული მდგომარეობის

გაუმჯობესების მიზნით. მათ შორის, დაკავშირებულს გენდერულ თემატიკასთან;
ზ) მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება“.

ამ ეტაპზე, კვლევის ძირითად ფოკუსს წარმოადგენდა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური, მის დაქვემდებარებაში მყოფი კულტურის სერვისების პროვაიდერები და მათი საქმიანობის ზოგადი სურათის შესწავლა. მერიიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ კულტურის სფეროში დაფუძნებულია სამი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი:

1) ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“;
2) ა(ა)იპ „ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა“,
3) ა(ა)იპ „ ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება




## 4.1. ა(ა)იპ „ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

ა.(ა).ი.პ. „ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ დაფუძნდა 2007 წელს; კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს 4 გაერთიანება: **საკლუბო გაერთიანება, სამუზეუმო გაერთიანება, საბიბლიოთეკო გაერთიანება, ძეგლთა დაცვის განყოფილება.** 2019 წლის მონაცემებით კულტურის ცენტრში 122 ადამიანია დასაქმებული შტატით, ხოლო 15 - ხელშეკრულებით. ცენტრის წლიური ბიუჯეტი 2019 წელს შეადგენდა 488199 ლარს.

გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, კულტურის ცენტრის მიერ წლის განმავლობაში ტარდება 70-მდე დიდი და პატარა ღონისძიება. მათ შორის, დაახლოებით 16 დიდი ღონისძიებისთვის ცალკე გამოიყოფა ბიუჯეტიდან ფინანსები, ხოლო დანარჩენი პატარა ღონისძიებები, უმეტესად, ტარდება სასოფლო კულტურის სახლებში ფინანსური დანამატების გარეშე. ბიუჯეტი გამოიყოფა შემდეგი აქტივობებისთვის: საახალწლო ღონისძიებების

კვირეული, გაზაფხულის დღესასწაულები, დედაენის დღე, 9 აპრილის ტრაგიკული დღეების გახსენება, 8 აგვისტო - ომის გმირების გახსენება, 26 მაისის - საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა და სხვ. ასევე ფესტივალი „არტ-გენი“, „თუშეთობა“, სახალხო დღესასწაული „ბიძინაობა“ და სხვ.

**უფრო კონკრეტულად, თითოეული განყოფილების და მის დაქვემდებარებაში არსებული ინფრასტრუქტურის და მათ მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ:**

### 4.1.1. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საკლუბო გაერთიანება

აერთიანებს რაიონის სხვადასხვა სოფელში მდებარე 11 კულტურის სახლს (ქ. ახმეტა, დუისი, ჯოყოლო, მატანი, საკობიანო, ზემო ალვანი, ქვ. ალავანი, არგოხი, კოღოთო, ოჟიო, ომალო), 6 ოფიციალურ ანსამბლს და 16 სახელოვნებო წრეს. სტრუქტურის მიხედვით, ანსამბლების საშტატო ერთეულის რაოდენობა შეადგენ 29-ს და მათი თვიური სახელფასო განაკვეთის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა მერყეობს 150- დან 400 ლარამდე; ხოლო სახელოვნებო წრეების საშტატო ერთეულის რაოდენობა შეადგენს 16-ს და მათი თვიური სახელფასო ბიუჯეტის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა 150-დან 200 ლარამდეა.

კვლევის მიხედვით, მოსახლეობაში კულტურის სახლების ცნობადობა და კმაყოფილების დონე შემდეგია:

- ჯამში, იმ თემებში, სადაც არის კულტურის სახლები, მოსახლეობის *71%-ს აქვს ინფორმაცია მათი არსებობის შესახებ, 26% თვლის, რომ არ აქვთ კულტურის სახლი, ხოლო 1.8% - მა არ იცის;*
- *5% ამბობს, რომ კულტურის სახლს იყენებს ხშირად (კვირაში ერთხელ მაინც), 18% - მხოლოდ მაშინ, როდესაც სჭირდება, ხოლო 40% თითქმის არასდროს, 7% კი, იყენებს ძალაინ იშვითად (29% -ს არ დაესვა კითხვა იმის გამო, რომ მათ განაცხადეს, რომ არ აქვთ კულტურის სახლი);*
- კითხვაზე - შეცვლიდით თუ არა რაიმეს კულტურის სახლში? - მოსახლეობის 63.1% ამბობს, რომ შეცვლიდა; 29.7% ამბობს, რომ არ შეცვლიდა, ხოლო 7.2% ამბობს, რომ არ იცის შეცვლიდა თუ არა რაიმეს.

**კითხვაზე რას შეცვლიდით კულტურის სახლში პასუხები ასე ნაწილდება**




სოფლებში არსებული კულტურის სახლების დიდი ნაწილის მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს. გარდა იმისა, რომ მწირია თავად სოფლებამდე მიტანილი სერვისები, პირველ რიგში, მისახედია სწორედ კულტურის ინფრასტრუქტურა, სადაც ესა თუ ის პროგრამა, სერვისი უნდა ხორციელდებოდეს.

მუნიციპალიტეტი არ გამოყოფს  დამატებით თანხას სოფლებში არსებული კულტურის სახლებისთვის, გარდა საშტატო ერთეულებისთვის გამოყოფილი ხელფასებისა. მათი თვიური მინიმალური და მაქსიმალური სახელფასო ბიუჯეტის ოდენობა  ბოლო სამი წლის განმავლობაში  მერყეობს 200-450 ლარის ფარგლებში. სასოფლო კულტურის სახლებში ძირითადად ერთი, ორი ან სამი კადრია დასაქმებული, რომელთაც ხშირ შემთხვევაში (გამონაკლისების გარდა) განსხვავებული პროფესიის ან კვალიფიკაციის მიუხედავად, „სპეციალისტის“ სტატუსი აქვთ მინიჭებული. კულტურის სახლები (გამონაკლისების გარდა) თითქმის არ არის დატვირთული ღონისძიებებით, რაიმე სახის კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამით ან და სხვა ახალგაზრდული აქტივობებით. ძირითად შემთხვევაში, მათი ფუნქციონირება განისაზღვრება მხოლოდ შტატების არსებობით. ზოგიერთ შემთხვევაში მერიისგან ან ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან ხდება თანხების გამოყოფა რემონტისთვის. თუ რომელიმე სოფელში ტარდება დიდი სახალხო ღონისძიება, აქ კულტურის სახლის თანამშრომლები ნაკლებად გვევლინებიან მთავარი ორგანიზატორების სახით, რაც ბადებს არაერთ შეკითხვას. დიდი ღონისძიებების (რომლებზეც დამატებითი ფინანსებია გამოყოფილი მუნიციპალიტეტისგან) ორგანიზებაში  მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი ახალგაზრდები. მათ დახმარებას უწევენ კულტურის სახლის თანამშრომლები,

ან სათემო ორგანიზაციები იქ, სადაც ასეთები არსებობს. ეს ღონისძიებები ძირითადად იმართება მუნიციპალური კულტურული რესურსის გამოყენებით (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური) , რაც გამოიხატება იმით, რომ მონაწილეობას იღებენ მუნიციპალური ანსამბლები, სახელოვნებო წრეების მოსწავლე ახალგაზრდები და ბესიკ მამიაურის სახელობის სახელოვნებო სკოლა. ძირითადად მეორდება ღონისძებების შინაარსი და ჩატარების ფორმაც მოძველებულია. იშვიათად ერთვებიან არამუნიციპალური ანსამბლები და სხვა მოწვეული ხელოვანები.

კვლევის შესაბამისად, კულტურის სახლების მთავარი გამოწვევა არის ინფრასტრუქტურის გაუმართავობა, მოსახლეობის ინტერესებზე ორიენტირებული სერვისების დაბალი ხელმისაწვდომობა, პროგრამული მუშაობის ნაკლებობა, მწირი დაფინანსება და კულტურის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებისა და ცოდნის დეფიციტი.

### 4.1.2. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სამუზეუმო გაერთიანება

**სამუზეუმო გაერთიანება** 4 მუზეუმს აერთიანებს, ესენია:

1. **რაფიელ-ერისთავის სახლ-მუზეუმი** სოფელ ქისტაურში დაფუძნდა 1951 წელს. ამჟამად მუზეუმს სამი თანამშრომელი ჰყავს და მათი წლიური ბიუჯეტი შეადგენს 7800 ლარს, ხოლო თვიური ხელფასის ოდენობა განისაზღვრება საშუალოდ 150 ლარიდან 300 ლარამდე; წლის განმავლობაში ტარდება დაახლოებით 4-5 ღონისძიება;
2. **ქვემო ალვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი**. მუზეუმმა თავისი ისტორიის განმავლობაში ბევრი ადგილმდებარეობა გამოიცვალა. ბოლოს, 1984 წელს, განთავსდა ქვემო ალვანში, ყოფილ კანტორის შენობაში, შემდეგ კი ქვ.ალვანის კულტურის სახლში. ამჟამად მუზეუმს 4 თანამშრომელი ჰყავს. წლიური ბიუჯეტი შეადგენს 10800 ლარს და დასაქმებულთა თვიური ხელფასის ოდენობა საშუალოდ განისაზღვრება 200-დან 300 ლარამდე. წლის განმავლობაში ტარდება დაახლოებით 6-7 ღონისძიება;
3. **პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი** სოფ. დუისში დაფუძნდა 2010 წელს. მუზეუმს ჰყავს 1 თანამშრომელი და მისი სახელფასო სარგო შეადგენს თვიურად 200 ლარს. მუზეუმში არ ხორციელდება დამატებითი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები;
4. **ქ. ახმეტის ისტორიის მუზეუმი** დაფუძნდა 2016 წელს. აქ დასაქმებულია 1 თანამშრომელი. წლიური სახელფასო ბიუჯეტის ოდენობა შეადგენს 3600 ლარს და საშუალო თვიური ხელფასი - 300 ლარს. მუზეუმში წლიურად დაახლოებით ხორციელდება 2-3 ღონისძიება.

სხვა დამატებითი მუზეუმი მუნიციპალიტეტში არ არსებობს. კვლევისას ცნობილი გახდა, რომ სოფელ ზემო ალვანში გარკვეული დროის განმავლობაში მოქმედებდა „მეცხვარის მუზეუმი“, რომელიც ახლა აღარ მუშაობს, თუმცა, მოსახლეობის ნაწილი კვლავ მიუთითებს, რომ აქვთ მუზეუმი. ამ მუზეუმის შესახებ მეტი ინფორმაცია ამ ეტაპზე არ მოიპოვება.

კითხვაზე - **რამდენად კმაყოფილი ხართ მუზეუმით?** (შედეგები მოცემულია იმ პასუხებიდან, სადაც თქვეს, რომ აქვთ მუზეუმი): 10.7% - ძალიან კმაყოფილი, 56% - კმაყოფილი, 17.2% - ნეიტრალური, 3.8% - უკმაყოფილო, 12.2% - არ ვიცი.

**ქ. ახმეტის** მოსახლეობის 21% ამბობს, რომ აქვთ მუზეუმი. მათგან 12.1% არ იყენებს მუზეუმს, 3.3% იყენებს ხშირად, 4.4% მხოლოდ მაშინ, როდესაც სჭირდებათ; 1.1%-მა გაგვცა პასუხი - არ ვიცი; მომხმარებელთაგან 60% კმაყოფილია მუზეუმით , 5% უკმაყოფილოა, 20% ნეიტრალურია, ხოლო 15%-ს არ აქვს პასუხი; 62.2% თვლის, რომ არ აქვთ მუზეუმი, ხოლო 16.6%-მა არ იცის აქვთ თუ არა, შესაბამისად, მათ არ დავუსვით კითხვა მუზეუმით კმაყოფილების და მოხმარების სიხშირის შესახებ.

**ქვემო ალვანში** მოსახლეობის 100% ინფორმირებულია მუზეუმის არსებობის შესახებ. მათგან 69.7% არ იყენებს მუზეუმს არასდროს, 9.1% მხოლოდ მაშინ, როდესაც სჭირდებათ, 3% ხშირად და დაახლოებით 18% - იშვიათად. მომხმარებელთაგან 63.6% კმაყოფილია მუზეუმით, 30.3% - ნეიტრალური, 3% უკმაყოფილო, ხოლო 3%-ს არ აქვს პასუხი.

**დუისში** მოსახლეობის 81.6% ამბობს, რომ აქვთ მუზეუმი, მათგან 50% არ იყენებს არასდროს, 10.5% იყენებს იშვიათად, 10.5% - მხოლოდ მაშინ, როდესაც სჭირდებათ, ხოლო 2.6%-მა გაგვცა პასუხი - არ ვიცი. მომხმარებელთა 62.1% კმაყოფილია მუზეუმით, 3.4% - უკმაყოფილო, 6.9% - ნეიტრალური, ხოლო 27.6%-ს არ აქვს პასუხი. 15.8% თვლის, რომ არ აქვთ, ხოლო 2.6%-ს არ აქვს ინფორმაცია.

**ქისტაურის** მოსახლეობის 100% ინფორმირებულია მუზეუმის არსებობის შესახებ. მათგან 18.2% არ იყენებს მუზეუმს, 59.1% იყენებს მხოლოდ მაშინ, როდესაც სჭირდება, 13.6% იყენებს ხშირად და 9.1% - იშვიათად. მომხმარებელთა 85.7% კმაყოფილია მუზეუმით, 9.5% - უკმაყოფილო, ხოლო 4.8%- ნეიტრალური.

კითხვაზე - **შეცვლიდით თუ არა რაიმეს მუზეუმში? -** მოსახლეობის პასუხი შემდეგნაირია: 45% - დიახ, შევცვლიდი; 45.8% - არა, არ შევცვლიდი, 9.1% - არ ვიცი.

კითხვაზე - **რას შეცვლიდით მუზუმში? -** პასუხები ასე ნაწილდება **:**




გამოკითხვის შედეგები ცხადჰყოფს, რომ მუზეუმების ცნობადობა და მიმართვიანობა მოსახლობაში მაღალი არ არის; სამუზეუმო-საგანმანათლებლო პროგრამების, თანამედროვე ექსპოზიციების და საზოგადოების ჩართულობაზე ორიენტირებული მუშაობის დეფიციტი ქმნის ამ სფეროში არსებულ პრობლემებს. გარდა გაუმართავი ინფრასტრუქტურისა და მუზეუმების დაფინანსების სიმწირისა, პრობლემატური ჩანს ასევე მმართველობის სისტემაც, რომელიც ქვედა(ცალკეული მუზეუმის) დონეზე ადგილობრივ ინიციატივას (მაგ. ფანდრაიზინგის კუთხით) გამორიცხავს. სისტემაში დასაქმებულ პირთა ანაზღაურება დაბალია. შესაბამისად, თანამშრომლების დაბალი მოტივაცია, რაიმე აკეთონ დამატებით, ხშირად სრულიად გასაგები ხდება.

**4.1.3. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო გაერთიანება:**

**საბიბლიოთეკო გაერთიანება** აერთიანებს 11 ბიბლიოთეკას (ქ. ახმეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, ზემო და ქვემო ალვანი, საკობიანო, მატანი, დუისი, ხალაწანი, ოჟიო, მაღრაანი, ჯოყოლო, ომალო).

გარდა გაერთიანებას დაქვემდებარებული ბიბლიოთეკებისა, მუნიციპალიტეტში ასევე არის რამდენიმე ბიბლიოთეკა ან საბიბლიოთეკო ინიციატივა. მაგალითად:  სოფელ ომალოში (პანკისი) არის გაუქმებული ბიბლიოთეკა, რომლის წიგნებიც ყოფილ ბიბლიოთეკარს აქვს

სახლში შენახული. ამ წიგნებით სარგებლობა შეუძლიათ სოფლის მაცხოვრებლებსაც. ასევე, სოფელ არგოხის კულტურის სახლში პატარა ოთახი დათმობილი აქვს ბიბლიოთეკას, რომლითაც სარგებლობს ადგილობრივი მოსახლეობაც და რომელსაც კურირებას უწევს არგოხის კულტურის სახლის თანამშრომელი. მცირე ბიბლიოთეკა აქვს ასევე სოფელ დუისის ეთნოგრაფიულ მუზეუმსაც. აღსანიშნავია, რომ სოფელ ომალოში (თუშეთში) არის 3 ბიბლიოთეკა: ერთი გაუქმებული, სადაც წიგნები კვლავ შემორჩენილია; ასევე - ეროვნული ბიბლიოთეკის მოძრაობის „ეკვლიბრიუმი“ მიერ მოწყობილი ბიბლიოთეკა; და კესელოს მუზეუმთან არსებული მცირე ბიბლიოთეკა; ასევე თუშეთში, სოფელ შენაქოში არის ერთი კერძო ბიბლიოთეკაც.

- კითხვაზე - **აქვთ თუ არა ბიბლიოთეკა?** - მოსახლეობის პასუხი შემდეგნაირია: 73% - დიახ; 21.4% - არა; 5.6%- არ ვიცი.
- კითხვაზე - **რამდენად ხშირად იყენებენ ბიბლიოთეკას?** - პასუხები ასე ნაწილდება: 3.7% - თითქმის ყოველდღე; 3.1% -კვირაში ერთხელ; 10.9% - მხოლოდ მაშინ, როდესაც მჭირდება; 7.6% იშვიათად; 46.5% თითქმის არასდროს; 0.4% -არ ვიცი; 27.8% - არ შესაბამება, ანუ არ აქვთ ბიბლიოთეკა ან არ იციან აქვთ თუ არა.
- კითხვაზე - რამდენად კმაყოფილნი არიან ბიბლიოთეკის ფუნქციონირება/ მომსახურებით? - პასუხები ასეთია (კითხვა დაესვა მათ, ვინც თქვა, რომ აქვთ ბიბლიოთეკა):
  6% - ძალიან კმაყოფილი, 46.4% - კმაყოფილი, 25% - ნეიტრალური, 7.4% - უკმაყოფილო; 1.3% ძალიან უკმაყოფილო, 13.9% - არ ვიცი.
- კითხვაზე - **შეცვლიდით თუ არა რაიმეს ბიბლიოთეკაში?** - ასე ნაწილდება პასუხები: 52% - დიახ, შევცვლიდი; 36.8% -არა, არ შევცვლიდი; 10.9% - არ ვიცი.

**რას შეცვლიდით ბიბლიოთეკაში?**




როგორც ზემოთაღნიშნულმა კვლევამ ცხადჰყო, ახმეტის მოსახლეობის ნახევარზე მეტი არასდროს არ სარგებლობს ბიბლიოთეკის მომსახურებით. ამის ძირითად მიზეზად მოსახლეობა ბიბლიოთეკაში თანამედროვე წიგნების არარსებობას და გაუმართავ

ინფრაქტრუქტურას მიიჩნევს. შედარებით უკეთესი სიტუაციაა სოფელ მატანში. ბიბლიოთეკა რამდენიმე წელია რაც გარემონტდა და თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვა (თუმცა, არ აქვთ ინტერნეტი და გათბობა); განახლდა წიგნადი ფონდიც. ამ სოფლის მაცხოვრებელთა 9% იყენებს ბიბლიოთეკას ხშირად, 16% - საჭიროებისამებრ, ხოლო 7% - იშვიათად. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მატანის ბიბლიოთეკა ყველაზე უფრო აქტიურია როგორც მკითხველთა რაოდენობით, ასევე ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობის მიხედვით. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მატანის მაგალითი მხოლოდ „საუკეთესო მდგომარეობაში მყოფი“ ბიბლიოთეკის გამოსავლენად მოვიყვანეთ. ამავე სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 50% თითქმის არასდროს, ან არასდროს იყენებს ბიბლიოთეკას. თუმცა, უარესი სიტუაციაა მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში, სადაც ცნობადობის დონე ხშირად მხოლოდ 30-50%-ს აღწევს, ხოლო გამოყენების თვალსაზრისით, მოსახლეობის მხოლოდ 3-6% -ია აქტიური მომხმარებელი.

ბიბლიოთეკისთვის ფუნქციის დაკარგვის ერთ-ერთ მიზეზად შეგვიძლია განვიხილოთ აქ დასაქმებულ კადრთა ნაკლები აქტიურობა და ხშირ შემთხვევაში მათი უმოქმედობა. რაც გამოიხატება იმით, რომ უმეტეს შემთხვევაში ბიბლიოთეკები დაკეტილია სამუშაო საათებში, არ ტარდება ღონისძიებები და მოსახლეობას არ აქვს საშუალება ადგილზე წაიკითხოს წიგნი ან დაამუშავოს სამეცნიერო მასალა. თავის მხრივ, ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს ბიბლიოთეკაში დასაქმებულ პირთა დაბალი ხელფასებით და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურით, რაც პირდაპირ აისახება კადრების მოტივაციაზე.

### 4.1.4. ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ძეგლთა დაცვის განყოფილება:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს 400-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. მათგან 159-ს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი[8]. თუმცა, აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში 400-ზე მეტი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ძეგლთა დაცვის სამსახურს 2019 წელს 15 თანამშრომელი ჰყავდა. საშუალოდ მათი ხელფასი 150-დან 400 ლარამდე მერყეობს. მუნიციპალიტეტის მიერ არ გამოიყოფა თანხები ძეგლთა რეაბილიტაციისთვის.

ახმეტის მაცხოვრებლების 91.7% აღნიშნავს, რომ აქვთ კულტურული ძეგლები. ამ ადამიანთა დაახლოებით 47% იყენებს მათ, როდესაც სჭირდებათ, 9% იყენებს ხშირად, 18% - იშვიათად, 26.7% კი, - თითქმის არასდროს. მათგან 69.5% კმაყოფილია ძეგლების მდგომარეობა/ ფუნქციონირებით, 14.3% - ნეიტრალური, 12.1% კი, - უკმაყოფილო. მოსახლეობის 8.3% თვლის, რომ არ აქვთ კულტურული ძეგლი და მათ არ დაესვათ კითხვა ძეგლების მდგომარეობით კმაყოფილებასთან და გამოყენების სიხშირესთან დაკავშირებით.

ახმეტის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია საქართველოში ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლით და სიძველით. თუმცა, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია მის სოფელში არსებული კულტურული ძეგლების და მათი ღირებულების შესახებ. ინფორმაციის ნაკლებობა გამოწვეულია საზოგადოების ნაკლები ინტერესით. გარდა ამისა, ძეგლებს არ ექცევა სათანადო ყურადღება უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდანაც. საქართველოს ისტორიიდან გამომდინარე და ახმეტის სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ისტორიული ძეგლები ხშირად გვხვდება ტყეებსა თუ მთებში, - სოფლებიდან მოშორებით. დიდწილად, არ არსებობს, ან დაზიანებულია ძეგლებამდე

[8] იხ. დანართი # 3 - ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სია

მისასვლელი სამანქანე გზა. ტურისტებისთვის არ არის მონიშნული ბილიკები და თავად კულტურული ობიექტებიც არ არის დატანილი რუკებზე, რაც იწვევს ძეგლების ნაკლებ ცნობადობას. ძეგლების დიდი ნაწილი დაზიანებულია და ზოგ შემთხვევაში მათი ახლოდან დათვალიერება, შესაძლოა, სახიფათოც კი იყოს. არც ამის შესახებ არის გაკეთებული სათანადო საინფორმაციო ნიშნულები. ინტერვიუების მიხედვით, ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტს არ აქვს საკმარისი რესურსი, რათა აღადგინოს და დაიცვას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები; ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არც სოფლის მოსახლეობის რესურსია ამ საქმეში სათანადოდ შეფასებული და გამოყენებული და მათთან არანაირი საინფორმაციო სამუშაოები არ წარმოებს.

### 4.2. ა(ა)იპ „ ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება

ა.(ა).ი.პ „ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“ ფუნქციონირებს 2008 წლიდან; მისი წლიური ბიუჯეტია: 2017 წელს - 129 912 ლარი; 2018 წელს - 135694 ლარი; 2019 წელს - 160700 ლარი. თანამშრომლების რაოდენობაა 63, მოსწავლეთა რაოდენობა კი წლიურად საშუალოდ 240-260 აღწევს.

გაერთიანებაში შედის ხუთი სამუსიკო სკოლა: ქ. ახმეტა (80 მოსწავლე), სოფლების: მატანი (48), ზ. ალვანი (45), ქვ. ალვანი (67) და დუისი (3-7). გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ასევე ბავშვთა საგალობლების ანსამბლი ,,ჯვარი ვაზისა“; სამუსიკო სკოლების ბავშვთა საგუნდო კოლექტივები წარმატებით გამოდიან რეგიონალური და რესპუბლიკური ხალხური და საგუნდო კოლექტივების ფესტივალებზე (პირველი და მეორე საპრიზო ადგილები) დაჯილდოვებულნი არიან ოქროს, ვერცხლის მედლებით და შესაბამისი დიპლომებით. სწავლის საფასურის გადახდა ხდება თანადაფინანსებით (ნაწილობრივ ფარავს მუნიციპალიტეტი).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სოფლის მოზარდები სამუსიკო სკოლაში, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, დადიან მეზობელ სოფელში, მათ შორის, მაგ., თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება იძლევა ინტერ-მუნიციპალური თანამშრომლობის საშუალებას და შესაძლოა, ის კულტურის სფეროს მენეჯმენტში ერთგვარ მოდელადაც დამუშავდეს.

კითხვაზე **- რამდენად კმაყოფილი ხართ მუსიკალური სკოლით?** -მოსახლეობის პასუხი შემდეგნაირია:

6.1% - ძალიან კმაყოფილი; 48.1% - კმაყოფილი; 22.6% - ნეიტრალური; 5.8% - უკმაყოფილო; 1% - ძალიან უკმაყოფილო; 16.4% - არ ვიცი.

კითხვაზე - **შეცვლიდით თუ არა რაიმეს მუსიკალურ სკოლაში?** მოსახლეობის 36.5% ამბობს , რომ შეცვლიდა; 43.2% - არ შეცვლიდა არაფერს, ხოლო 20.4%-მა არ იცის შეცვლიდა თუ არა რაიმეს.

კითხვაზე - **რას შეცვლიდით მუსიკალურ სკოლაში?** პასუხები შემდეგნაირად ნაწილდება




ამ ეტაპზე მუსიკალური სკოლების ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს გაუმართავი ინფრასტრუქტურა და მოძველებული ინსტრუმენტები: სამუსიკო სკოლები ძირითადად განთავსებულია ორსართულიან კორპუსის ტიპის, კულტურის სახლის, ან საჯარო სკოლის შენობაში. ხოლო ახმეტის სამუსიკო სკოლას აქვს დამოუკიდებელი შენობა ქ. ახმეტაში. ხშირ შემთხვევაში სკოლებს არ აქვთ შიდა (ზოგ შემთხვევაში არც გარე) სველი წერტილები და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უწევთ ზამთრის პერიოდში შენობის გარეთ გასვლა. მოძველებულია სანოტო წიგნადი ფონდი, სასწავლო პროგრამები და სწავლების მეთოდები.

## 4.3. ა(ა)იპ „ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა“

ა.(ა).ი.პ „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა“ ფუნქციონირებს 2017 წლიდან. (მანამდე ფუნქციონირებდა ცალკე სახელოვნებო და ცალკე შემეცნებითი, საგანმანათლებლო სკოლა, 2017 წელს მოხდა ამ ორი დაწესებულების ოპტიმიზაცია);

სკოლის ბიუჯეტი წლების მიხედვით შემდეგია: 216 475 ლარი (2017 წ.), 197 383 ლარი (2018 წ.), 207 500 (2019 წ.). ბოლო სამი წლის განმავლობაში თანამშრომელთა რაოდენობა 44-დან 46-მდე გაიზარდა. ყოველწლიურად სკოლა ემსახურება 250-300 ბავშვს. წრეების რაოდენობაა 12, მათ

შორისაა, როგორც გამოყენებითი ხელოვნების (თექა, ქარგვა, კერვა, მაკრამე, გობელინი), ასევე სამხატვრო (ხატვის წრე), მუსიკალური (ბასტი-ბუბუ, ფანდურის წრე), სპორტული (კრივის წრე, ჭადრაკის წრე). ფილიალები აქვთ სოფლებში: ჯოყოლოსა და ზემო ალვანში და ჭადრაკის წრე - ქვემო ალვანში. აღნიშნული სასოფლო, სახელოვნებო-საგანმანათლებლო აქტივობები ხორციელდება საჯარო სკოლების ან ადმინისტრაციული შენობის სივრცეებში. სკოლა სერთიფიცირებულია და გასცემს ცოდნის დამადასტურებელ შესაბამის სერთიფიკატს და დიპლომს; ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან და სწავლა უფასოა.

სკოლა განთავსებულია ქალაქ ახმეტის გარეუბანში, დამოუკიდებელ შენობაში. შენობის შიდა ინტერიერი თითქმის სრულად გარემონტებულია. თუმცა, საჭიროებს როგორც შიდა, ისე გარე სივრცეების მოწყობას და მცირე კოსმეტიკურ რემონტს. შენობა აღჭურვილია სახელოვნებო საქმიანობისათვის შესაბამისი საჭირო დაზგა-დანადგარებითა და, ნაწილობრივ, თანამედროვე ტექნოლოგიით. სკოლა წლის განმავლობაში აწყობს და მონაწილეობას იღებს დაახლოებით 11 ღონისძიებაში. მათ შორის, შიდა სასკოლო ღონისძიებები და ა(ა)იპ-ის „კულტურის ცენტრი“ მიერ დაგეგმილი ღონისძიებები (მაგ. ბიძინაობა, თუშეთობა, პანკისობა და ა.შ.). ძირითად შემთხვევაში, აღნიშნული ღონისძიებების საორგანიზაციო საკითხებს სკოლა ახორციელებს და აქვე ხდება მათი ნამუშევრების პრეზენტაცია; მონაწილეობს რეგიონალურ ფესტივალებში. იშვიათად, სკოლა მასპინძლობს უცხოელი ვიზიტორების სპეციალურ ჯგუფებს მასტერკლასებისთვის. ძირითადად თანამშრომლობენ ბალტიისპირეთის ქვეყნებთან - ლიტვა, ლატვია, - თუმცა, ჰყავთ ვიზიტორები სხვა ქვეყნებიდანაც. ამასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორების მოძიება-თანამშრომლობის თვალსაზრისით, სკოლა ნაკლებად გვევლინება ინიციატორის როლში.

## 4.4. ღონისძიებები, რეკრეაციული სივრცეები და სხვ.

მუნიციპალიტეტისგან რამდენჯერმე იქნა გამოთხოვილი ინფორმაცია განხორციელებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობასა და მათზე გაწეული ფინანსური დანახარჯების შესახებ. ღონისძიებების შესახებ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასახავს კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალს ჯამური ღირებულებებით. მასალა არ არის სრულყოფილი და არ ახლავს ხარჯთა დეტალური აღრიცხვის სისტემა, რაც გამოწვეულია რთული სტრუქტურული განაწილებით. მაგალითად, კონკრეტულ ღონისძიებაში შესაძლოა კულტურის ცენტრს არ ჰქონდეს ფინანსური წილი, თუმცა ცენტრში დასაქმებული ადამიანური რესურსის მეშვეობით იღებდეს თანამონაწილეობას, ან კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვა სახელოვნებო ორგანიზაციები. მაგალითად, მამიაურის სახელოვნებო სკოლა. ასეთი შემთხვევაში არ არის მათი კონკრეტული წვლილი აღრიცხული და შეფასებული.

მუნიციპალიტეტში წლის განმავლობაში ძირითადად ტარდება 16 გეგმიური ღონისძიება, რომელზეც გამოყოფილია გეგმიური ფინანსური ხარჯები. ქვემოთ აღნიშნული კითხვის მიზანი იყო დაგვედგინა ის, თუ რამდენად იცნობს მოსახლეობა მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს.

კითხვაზე - **მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული რომელი კულტურული აქტივობების შესახებ გსმენიათ?** - მოსახლეობისგან მივიღეთ შემდეგი შედეგი:




მუნიციპალიტეტის გარდა, ზოგიერთ შემთხვევაში ასევე კულტურულ აქტივობებს ახორციელებენ იურიდიული თუ კერძო პირებიც. ახმეტის მუნიციპალიტეტში მსგავსი აქტივობების პროცენტულობა საკმაოდ დაბალია. (შედარებით აქტიურობით გამოირჩევა ზოგიერთი დიდი სოფელი. მაგალითად, ქვემო ალვანი, ზემო ალვანი, მატანი და პანკისის ხეობის ზოგიერთი სოფელი).

კითხვა - **მუნიციპალიტეტის გარდა, სხვა ორგანიზაციების თუ ინდივიდების ჩატარებული რომელი აქტივობის შეახებ გსმენიათ?**



*სხვა: ლიტერატურული საღამოები, ცირკის წარმოდგენა, გამოფენა.

კულტურის სფეროს გარდა, კვლევის ინტერესებში აგრეთვე შემოდიოდა ახალგაზრდობის სამსახურის საქმიანობა. სამწუხაროდ, პროექტის გუნდმა ვერ მიიღო აღნიშნული სამსახურის საქმიანობის ამსახველი ნარატიული და ფინანსური დოკუმენტაცია.

მოთხოვნის მიუხედავად, ასევე არ მოხდა ინფორმაციის გაცემა იმ საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების და ქვეყნების შესახებ, რომლებთანაც ითანამშრომლა ახმეტის მუნიციპალიტეტმა კულტურის სფეროში 2017-2019 წწ-ში. ასევე, მათთან ერთად განხორციელებული საგანმანათლებლო თუ კულტურული პროექტების შესახებ. რჩება შთაბეჭდილება, რომ მსგავსი ინსტიტუციური მეხსიერება სათანადო დოკუმენტაციით არ აღინუსხება.

რაც შეეხება სოფლების დონეზე არსებულ რეკრეაციული და გასართობ სივრცეებს, რამდენადაც აღნიშნული უფრო კულტურის სფეროს განეკუთვნება და მათი არსებობა შესაძლოა განიხილებოდეს როგორც თავისუფალი დროის გატარების, ახალგაზრდული და კულტურული პროგრამების განვითარების შესაძლებლობა, სოციოლოგიური გამოკითხვის დროს დამატებითი კითხვის მეშვეობით გამოვლინდა შემდეგი:

- ახმეტის მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელთა 85.2% ამბობს, რომ აქვთ სკვერები და მოედნები, 14.1% - არ აქვთ, ხოლო 0.7%-ს არ აქვს ინფორმაცია;
- 25.6% - იყენებს ხშირად, 42.1% - თითქმის არასდროს, 8.8% - იშვიათად, ხოლო 8.4%- მხოლოდ მაშინ , როდესაც სჭირდება;
- 60.9% კმაყოფილია სკვერების/მოედნების მდგომარეობით, 10.6% - უკმაყოფილო, ხოლო 9.9% - ნეიტრალური;
- 63.9% ამბობს, რომ შეცვლიდა რაიმეს , 32.1% - არ შეცვლიდა, 3.1%-ს არ აქვს პასუხი.

სოფლებში საველე გასვლებმა კი დაადასტურა, რომ სასოფლო სკვერები და ბაღები ხშირად დაბინძურებულია და მოვლას და განახლებას საჭიროებს.

## 4.5. კულტურის სფეროს ფინანსური მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, ქ. ახმეტის მერიაში ფუნქციონირებს კულტურის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდობის სამსახური, რომელიც განსაზღვრავს კულტურის სფეროს საქმიანობას ახმეტის მუნიციპალიტეტში. მას ექვემდებარება სამი მთავარი კულტურის ა(ა)იპი: 1) ა(ა)იპ „კულტურის ცენტრი“ - რომლის დაქვემდებარებაშიცაა ახმეტის საკლუბო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო გაერთიანებები და ძეგლთა დაცვის სამსახური; 2) ა(ა)იპ „ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო შემეცნებითი სკოლა“ და 3) ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“.

კულტურის სფეროს განვითარების ერთ-ერთ ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების გენ. გეგმაში კულტურის მინიმალური პრიორიტეტის არასებობა და, შესაბამისად, განსაზღვრული დაბალი ბიუჯეტი, რაც გამოიხატება სფეროში დასაქმებული კადრების სიმრავლითა და უკიდურესად დაბალი თანამდებობრივი სარგოებით. ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიმართულია სახელფასო ფონდზე (შტატით და შტატგარეშე); ნაწილი გეგმიურ ღონისძიებებზე და ა(ა)იპ შპს ბალანსზე რიცხულ აქტივებსა (საოფისე, შენობა-ნაგებობა, ინვენტარი, სამეურნეო საქონელი და ა.შ) და საოფისე ხარჯებზე. ბიუჯეტი იშვიათად ითვალისწინებს ინვენტარიზაციას, სამუშაო თუ დასაკრავი ინსტრუმენტების განახლების ან შეძენის ხარჯებს; ასევე სრულიად იგნორირებულია ისეთი ხარჯები, რაც შეიძლება მიმართული იყოს კულტურის სფეროში მოსახლეობის საჭიროებების კვლევაზე ან სხვა შემეცნებითი ღონისძიებებისა და პროექტების განხორციელებაზე. ბიუჯეტი არ ითვალისწინებს პროგრამულ დაფინანსებას.

ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროში ერთსა და იმავე თანამდებობაზე დასაქმებულნი არიან კადრები როგორც შტატით, ისე შტატგარეშე. შტატგარეშედ დასაქმებული ადამიანები სამუშაო ადგილს იკავებენ არა კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ მოკლე პერიოდში, არამედ წლების განმავლობაში[9] და ასრულებენ ზუსტად იმავე საქმიანობას, რასაც შტატით დასაქმებული ადამიანები.

ფინანსური ანალიზისთვის გამოყენებულია 2017, 2018, 2019 წლებში „კულტურის ცენტრის“, „ბესიკ მამიაურის სახელობის სახელოვნებო-შემეცნებით მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის“ და „სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ საბიუჯეტო მონაცემები. აღწერილი და შედარებულია **ზოგადი საბიუჯეტო მონაცემებით** ასახული კულტურის სფეროს წლიური ფაქტობრივი დანახარჯები.

ჯამურად, 2017-2019 წლებში, ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროსთვის დაიხარჯა **2,450,045** ლარი, რაც ამავე წლების მთლიანი შიდა ბიუჯეტის 5.67%-ს შეადგენს. აქედან, 2017




- [9] „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურში გარდა შტატით გათალისწინებული პირებისა, შესაძლოა დაქირავებულ იქნას შტატგარეშე მოსამსახურე(ები). ეს არის პირი, რომელიც დანიშნულია შრომითი ხელშკერულებით გარკვეული ვადით **არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.**

წელს 796,387 ლარი - 7.81%; 2018 წელს - 826,314 - 4.76% , ხოლო 2019 წელს ჯამურმა ხარჯმა 827,344 ლარი შეადგინა - მთლიანი შიდა ბიუჯეტის 5.29%.

## *ახმეტის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის ცენტრი*

ფინანსური ანალიზისთვის გამოყენებულია 2017, 2018, 2019 წლების ა(ა)იპ კულტურის ცენტრის ზოგადი საბიუჯეტო მონაცემები. ახმეტის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის ცენტრზე და კულტურის ცენტრის მიერ გაწეული სახსრების ჯამური რაოდენობა ფაქტის მიხედვით შეადგენს:

2017 წელს - **450000** ლარს (საკუთარი სახსრების/შემოსავლების გარეშე);

2018 წელს - **493236.5** ლარს - აქედან მუნიციპალური ბიუჯეტის სუბსიდირებული თანხის რაოდენობა შეადგენს 469800 ლარს, ხოლო საკუთარი სახსრების რაოდენობა შეადგენს 23436.5 ლარს;

2019 წელს - **488199** ლარს - აქედან მუნიციპალური ბიუჯეტის სუბსიდირებული თანხის რაოდენობა შეადგენს 486024 ლარს, ხოლო საკუთარი სახსრების რაოდენობა შეადგენს 2175 ლარს.

**ა(ა)იპ კულტურის ცენტრზე გაწეული ფაქტობრივი ფინანსური დანახარჯი**




- ***საშტატო ერთეული და ბიუჯეტი***

სტრუქტურის მიხედვით ა(ა)იპ კულტურის ცენტრში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 2017 წელს **- 138** (შტატით 122/შტატგარეშე 12) და მათზე გაწეული სახელფასო ფონდი შეადგენს **399614** ლარს, რომელიც წარმოადგენს მთლიანი ბიუჯეტის 89% (საშტატო - 358654/შტატგარეშე - 40960) ლარს; 2018 წელს დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს **- 141** (შტატით -127/შტატგარეშე - 14) და მათზე გაწეული სახელფასო ფონდი შეადგენს **396480** ლარს, რომელიც წარმოადგენს მთლიანი ბიუჯეტის 80%-ს (საშტატო - 356520₾/შტატგარეშე - 39960₾). ხოლო 2019 წელს დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს - **137** (შტატით -122/შტატგარეშე - 15) და მათზე გაწეული სახელფასო ბიუჯეტი შეადგენს - **393871** ლარს, რომელიც წარმოადგენს მთლიანი ბიუჯეტის 81%-ს (საშტატო 352829₾/შტატგარეშე 41042₾).

- ***კულტურული ღონისძიებები***

ა(ა)იპ კულტურის ცენტრის წლიური, გეგმიური კულტურული ღონისძიებების რაოდენობა შეადგენს 16-ს. მათზე გაწეული ფინანსური სახსრები ფაქტის მიხედვით 2017 წელს შეადგენს - **11200** ლარს მშბ 2%, 2018 წელს - **23386** ლარს, რომელიც შეადგენს მთლიანი ბიუჯეტის 5%-ს, ხოლო 2019 წლის კულტურის ცენტრის წლიურ ბიუჯეტში არ ფიქსირდება კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული დეტალური ფინანსური დანახარჯები. თუმცა, კულტურის ცენტრის მიერ დამატებთ გადმოგზავნილ დოკუმენტში, წლიური გეგმიური ღონისძიებების ჩამონათვალს თან ახლავს სავარაუდო ბიუჯეტი, რომლის ჯამური ღირებულებაც შეადგენდა **42950** ლარს, საიდანაც ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირებულ, არაგეგმიურ ღონისძიებაზე, ა(ა)იპ კულტურის ცენტრის მიერ, „არტგენი“ -ზე გაიხარჯა **27818.5** ლარი, რომელიც შემდგომში მერიის მხრიდან კულტურის ცენტრის ბიუჯეტში უკან დაბრუნდა.

- ***სხვა ხარჯები***

ა(ა)იპ შპს-ს ბალანსზე დარიცხული აქტივები (საოფისე, შენობა-ნაგებობა, ინვენტარი, სამეურნეო საქონელი და ა.შ.) ფაქტის მიხედვით შეადგენს 2017 წელს - **39186** ლარს და წარმოადგენს მთლიანი ბიუჯეტის 9%-ს, 2018 წელს - **73370.5** ლარს და წარმოადგენს მთლიანი ბიუჯეტის 15%-ს; ხოლო 2019 წელს შეადგენს **94328** ლარს და წარმოადგენს მთლიანი ბიუჯეტის 19 %-ს.

**# ა(ა)იპ კულტურის ცენტრის ზოგადი ბიუჯეტის მიზნობრივი გადანაწილება / ფაქტობრივი დანახარჯებით**







### *ა(ა)იპ ქ. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო შემეცნებითი სკოლა*

ა(ა)იპ ბესიკ მამიაურის სახელოვნებო სკოლის მთავარი შემოსავალი არის ქ. ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული სუბსიდია. სკოლის მოსწავლეები არ იხდიან დამატებით გადასახადს. იშვიათ შემთხვევაში დამატებითი ფინანსების მოძიება ხდება სკოლის შენობა-ნაგებობის გაქირავების საფუძველზე. 2017 წელს ბესიკ მამიაურის სახელოვნებო სკოლისათვის ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული სუბსიდია, ფაქტის მიხედვით, შეადგენდა **216475** ლარს, 2018 წელს - **197383** ლარს, ხოლო 2019 წელს- **207500;** ჯამში **621358** ლარი. სკოლის ბიუჯეტიდან თანხების ძირითადი ნაწილი სახელფასო კადრებისთვის

ნაწილდება. 2017-2019 წწ-ში სკოლის მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 83.4% გადანაწილდა ხელფასებზე. გარდა სახელფასო კადრებისა, თანხების ნაწილი იხარჯება სკოლისთვის სამუშაო მასალის შესაძენად, კომუნალური ხარჯებისთვის და ა.შ.




| **გაწეული საქმიანობა** | **ხარჯი (ფაქტი)** | **პროცენტული მაჩვენებელი** |
|---|---|---|
| ხელფასი | 162546.5 | 75.1 %% |
| ოფისის ხარჯი | 4487 | 2.1 % |
| სხვა ხარჯი და მომსახურება | 49,441.5 | 22.8% |

2017 წელს ბესიკ მამიაურის სახელოვნებო სკოლამ ფაქტის მიხედვით დახარჯა **216475** ლარი. დამატებითი შემოსავლის სახით მიიღო **475** ლარი. ამავე წელს აქ დასაქმებული იყო ჯამში 44 კადრი. მათ შორის: 30 პედაგოგი, 9 ადმინისტრაციის წარმომადგენელი და 5 ტექ-პერსონალი.

ჯამში, მათი ხელფასებისთვის, 2017 წელს სკოლამ გახარჯა მთლიანი შიდა ბიუჯეტის 75%, რაც შეადგენს **162,546.5** ლარს.

| **გაწეული საქმიანობა** | **ხარჯი (ფაქტი)** | **პროცენტული მაჩვენებელი** |
|---|---|---|
| ხელფასი | 168,854 | 85.5 % |
| ოფისის ხარჯი | 7298 | 3.7 % |
| სხვა ხარჯი და მომსახურება | 21,231 | 10.9 % |

2018 წელს ბესიკ მამიაურის სახელოვნებო სკოლის ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა - **197383** ლარი. 2018 წელს სკოლაში დასაქმებული იყო ჯამში 46 კადრი, მათ შორის: 30 პედაგოგი, 10 ადმინისტრაციის წარმომადგენელი და 6 ტექ-პერსონალი. ჯამში, მათი ხელფასებისთვის 2018 წელს სკოლამ გახარჯა მთლიანი შიდა ბიუჯეტის 85.5%, რაც წარმოადგენს **168,854** ლარს.

| **გაწეული საქმიანობა** | **ხარჯი (ფაქტი)** | **პროცენტული მაჩვენებელი** |
|---|---|---|
| ხელფასი | 183201 | 85 % |
| ოფისის ხარჯი | 9407 | 4.3 % |

| | | |
|---|---|---|
| სხვა ხარჯი და მომსახურება | 23,017 | 10,7 % |

2019 წელს ბესიკ მამიაურის სახელოვნებო სკოლამ, ფაქტის მიხედვით, დახარჯა - **215625** ლარი. ამავე წელს სკოლაში დასაქმებული იყო ჯამში 46 კადრი, მათ შორის 30 პედაგოგი, 10 ადმინისტრაციის წარმომადგენელი და 6 ტექ-პერსონალი. ჯამში, სახელფასო ბიუჯეტის ფაქტობრივი დანახარჯია მთლაინი შიდა ბიუჯეტის 85%, რაც შეადგენს **185,431** ლარს.

## ქ. ახმეტის სკოლის გარეშე სამუსიკო სკოლების გაერთიანება.

ქ. ახმეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების დაქვემდებარებაშია 5 სკოლა. გარდა მუნიციპალიური სუბსიდიისა, გაერთიანებას აქვს ასევე საკუთარი სახსრები, რომელსაც მოსწავლეთა გადასახადისგან იღებს. სწავლის ღირებულება ერთი მოსწავლისთვის შეადგენს თვიურად 10 ლარს. მუსიკალური სკოლების გაერთიანებას ქ. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიისგან 2017-2019 წლებში ჯამში გამოეყო **397,251** ლარი, (2017 წელს - **129912**; 2018 წელს- **135694**; 2019 წელს - **131645**).საკუთარი სახსრებით შემოსულმა თანხამ ჯამურად შეადგინა **57,987**. (აქედან - 2017 წელს **20205**, 2018 წელს **21305**, 2019 წელს **16477 ლარი).**

მუსიკალურ სკოლაში, პროცენტულად გაცილებით მეტი თანხა იხარჯება საშტატო ერთეულებისთვის, ვიდრე ა(ა)იპ ბესიკ მამაურის სახელოვნებო სკოლაში და ა(ა)იპ კულტურის ცეტრში. კონკრეტულად, საშტატო ერთეულებისთვის 2017-2019 წლებში სკოლამ დახარჯა **440,512** ლარი, რაც ამ წლების მთლიანი შიდა ბიუჯეტის 96.7 %-ს შეადგენს. დანარჩენი 3.3% კი გადანაწილდა კომუნალური გადასახადებისთვის, ოფისის ხარჯისთვის და სხვა დანარჩენი მომსახურებისთვის.



| **გაწეული საქმიანობა** | **ხარჯი ‘(ფაქტი)** | **პროცენტული მაჩვენებელი** |
|---|---|---|
| ხელფასი - | 143,424 | 95,5 % |
| ოფისის ხარჯი | 5,910 | 3,9 % |
| სხვა დანარჩენი (კვება, ტრანსპორტირება და სხვა) | 783 | 0.5 % |

2017 წელს სამუსიკო სკოლების გაერთიანებისთვის ახმეტის მუნიციპალიტეტისგან გაცემული სუბსიდია, ფაქტის მიხედვით, შეადგენდა **129912** ლარს, ხოლო საკუთარი სახსრებით სკოლამ მიიღო **20205** ლარი. ჯამში, 2017 წლის წლიურმა ხარჯმა შეადგინა **150117** ლარი.

| **გაწეული საქმიანობა** | **ხარჯი (ფაქტი)** | **პროცენტული მაჩვენებელი** |
|---|---|---|
| ხელფასი - (შტატით) | 150,851 | 96.1 % |
| ოფისის ხარჯი | 4005 | 2.5 % |
| სხვა დანარჩენი (კვება, ტრანსპორტირება და სხვა) | 2143 | 1.4 % |

2018 წელს სამუსიკო სკოლების გაერთიანებისთვის ახმეტის მუნიციპალიტეტისგან გაცემული სუბსიდია, ფაქტის მიხედვით, შეადგენდა **135694** ლარს. ხოლო საკუთარი სახსრებით სკოლამ მიიღო **21305** ლარი. ჯამში, 2018 წლის წლიურმა ხარჯმა შეადგინა **156999** ლარი.

| **გაწეული საქმიანობა** | **ხარჯი (ფაქტი)** | **პროცენტული მაჩვენებელი** |
|---|---|---|
| ხელფასი - (შტატით) | **146,237** | 98.7 % |
| ოფისის ხარჯი | **865** | 0.6 % |
| სხვა დანარჩენი (ტრანსპორტირება, კვება და სხვა) | **1020** | 0.7 % |

2019 წელს სამუსიკო სკოლების გაერთიანებისთვის ახმეტის მუნიციპალიტეტისგან გაცემული სუბსიდია, ფაქტის მიხედვით, იყო **131645** ლარი. ხოლო საკუთარი სახსრებით სკოლამ მიიღო **16477 ლარი**. ჯამში, 2019 წლის წლიურმა ხარჯმა შეადგინა **148122** ლარი.

2017 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის მთლიანი შიდა ბიუჯეტი შეადგენდა **10201105** ლარს, საიდანაც ა(ა)იპ კულტურის ცენტრისთვის გაწეული ხარჯი შეადგენდა მ.შ.ბ-ის 4.41%-ს; ბესიკ მამიაურის სახელოვნებო სკოლისთვის - 2.12%-ს, ხოლო სამუსიკო სკოლების გაერთიანებისთვის - 1.27% -ს .

2018 წელს მუნიციპალიტეტმა ჯამურად დახარჯა **16368351** ლარი. აქედან კულტურის ცენტრის ხარჯი პროცენტულად შეადგენდა 3.01%-ს; ბესიკ მამიაურის სახელოვნებო სკოლის - 1.21%-ს; ხოლო სამუსიკო სკოლების გაერთიანების ხარჯი - 0.83%-ს.

2019 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის ჯამური ხარჯი შეადგენდა **15651550** ლარს. აქედან კულტურის ცენტრისთვის დაიხარჯა მ.შ.ბ.-ის 3.12%; ბესიკ მამიაურის სახელოვნებო სკოლისთვის - 1.38% ; სამუსიკო სკოლების გაერთიანებისთვის - 0.84%.

კულტურის სფეროსთვის გამოყოფილი მთლიანი ბიუჯეტი 2017 წელს შეადგენს **796387** ლარს (კულტურის ცენტრი - 57%, მამიაურის სახელოვნებო სკოლა - 27%, სამუსიკო სკოლების გაერთიანება - 16%) 2018 წელს - **826314** (კულტურის ცენტრი - 60 %, მამიაური - 24 %, სამუსიკო სკოლები- 16 %.). ხოლო 2019 წელს **827344,** (აქედან კულტურის ცენტრისთვის - 58%; მამიაურის სახელოვნებო სკოლისთვის - 26%, სამუსიკო სკოლების გაერთიანებისთვის - 16%); აქედან ხელფასებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 2017 წელს - 88.6%-ს, 2018 წელს - 86.67%-ს, ხოლო 2019 წელს 87.4%-ს. სხვა ხარჯების ხარჯი (საოფისე, სამეურნეო, შენობა ნაგებობების და სხვ.) 2017 წელს შეადგენდა - 12.53%-ს, 2018 წელს 13.06%-ს, ხოლო 2019 წელს - 13 %-ს. რაც შეეხება ღონისძიებებს, მოწოდებული დოკუმენტების თანახმად, მათზე გაწეული ხარჯები ცალკეულად გამოყოფილია მხოლოდ ა(ა)იპ კულტურის ცენტრის ბიუჯეტში და 2017 წელს შეადგენს მ.შ.ბ.- ის 1.41%-ს, 2018 წელს - 2.83%-ს, ხოლო 2019 წელს ღონისძიებებზე გაწეული ხარჯი დოკუმენტებში ასახული არ არის.

ჯამურად, 2017-2019 წწ-ში ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტის დაახლოებით 87% დაიხარჯა მხოლოდ ხელფასებისთვის. დანარჩენი 13% კი გადანაწილდა კომუნალურ, სამივლინებო, ღონისძიებების და სხვა ხარჯებზე. აღნიშნული პრობლემა გამოწვეულია ამ სფეროში დასაქმებულ კადრთა სიმრავლით. ჩვენი დაკვირვების საფუძველზე, ხშირია შემთხვევები როცა კადრების საჭიროების არ არსებობის შემთხვევაში დამატებით ხდება ახალი კადრების დასაქმება - არ არსებობს დასაქმების რაიმე სახის პრინციპები და მექანზმები. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად საქმდებიან პოლიტიკური ნიშნით. შესაბამისად, შტატების სიმრავლე მოქმედებს ზოგად სახელფასო ბიუჯეტზე და ხელფასების ოდენობა საარსებო მინიმუმამდე დაჰყავს, რაც იწვევს კადრების დემოტივაციას და ხელს უშლის კულტურის სფეროს განვითარებას. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს დასაქმების მექანიზმები, ჩატარდეს საკადრო ცვლილებები ან მოხდეს არსებული კადრების კვალიფიცირება.

## 5. მოსახლეობის ჩართულობა კულტურის სფეროს საქმიანობასა და მართვაში

კვლევამ ცხადჰყო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი დაინტერესებულია კულტურის სფეროს განვითარებით, თუმცა, მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იღებს რაიმე სახით მონაწილეობას კულტურის სფეროს საქმიანობაში. კვლევის მიზანი იყო დაედგინა, საზოგადოების აზრით რამდენად მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას მათი აზრი კულტურული აქტივობის განხორციელებისას და თავად რამდენად სურთ, რომ გაითვალისწინონ მათი აზრი და რამდენად ითვალისწინებენ.

- *მოსახლეობის 64.9% არასდროს არ ყოფილა ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებაში. (არ ყოფილა მონაწილე, არ დასწრებია, არ მიუღია ორგანიზებაში მონაწილეობა). 14.7% ერთვება ძალიან იშვიათად, 12.3% - ხშირად, ხოლო 6.2% - ყოველთვის;*
- *84.6% თვლის, რომ მუნიციპალიტეტი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების აზრს კონკრეტული აქტივობის დაგეგმვამდე და საქმიანობას უნდა არგებდეს საზოგადოებას; 11% თვლის, რომ მათი აზრი უნდა იკითხონ მაშინ, როდესაც ამის საჭიროებაა, ხოლო 1.2% თვლის, რომ მუნიციპალიტეტი არ უნდა ითვალისიწინებდეს ხალხის აზრს;*
- *91.7% თვლის, რომ მნიშვნელოვანია მოსახლეობა ერთვებოდეს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ/განხორციელებულ ღონისძიებაში. 3%-ს ნეიტრალური დამოკიდებულება აქვს საკითხის მიმართ, 1.5% თვლის, რომ არ არის მნიშვნელოვანი, ხოლო 3.8%-ს არ აქვს პასუხი.*

კვლევის მიზანი იყო აგრეთვე დაედგინა, თუ რამდენად გამჭვირვალეა მოსახლეობისთვის კულტურის სფეროს ხარჯები და რამდენად ენდობიან ამ სფეროს მმართველებს. *ახმეტის მოსახლეობის 20.8% სრულიად ენდობა ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას კულტურის სფეროში, 38.3% -ნაწილობრივ ენდობა, 8%- ენდობა საშუალოდ, 12% -ნაწილობრივ არ ენდობა. ხოლო 10.4% საერთოდ არ ენდობა, 10.5%-მა კი არ იცის ენდობა თუ არა.*



თუმცა, პარადოქსია ის, რომ მოსახლეობის 21% სრულიად ენდობა ხელისუფლების საქმიანობას კულტურის სფეროში, მაგრამ მათი 46% აცხადებს, რომ არ იცის რამდენად შესაბამისად იხარჯება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები კულტურის სფეროსთვის, ხოლო 14% თვლის, რომ ეს თანხები სრულიად შეუსაბამოდ იხარჯება.




ასევე ახმეტის მოსახლეობის 47%-მა არ იცის რამდენად გამჭვირვალეა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ კულტურული მემკვიდრეობისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვა, ხოლო 23.5% თვლის, რომ საერთოდ არ არის გამჭვირვალე.



როგორც კვლევამ ცხადჰყო, მოსახლეობა ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია ჩართულნი იყვნენ მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, თუმცა, არ ერთვებიან. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს ინფორმაციის ნაკლებობით. ხშირ შემთხვევაში ტარდება კონკრეტული აქტივობები, საზოგადოებას კი ამის შესახებ არ მიეწოდება ინფორმაცია. ამიტომ, მათი კმაყოფილების დონის განსაზღვრისას მივიღეთ შემდეგი შედეგი:[10]




მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის 29% აცხადებს, რომ კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ღონისძიებით, დამატებით დასმული კითხვების საფუძველზე, ისინი ვერ ასახელებდნენ თუ რითი იყვნენ კონკრეტულად კმაყოფილები. გარდა ამისა, მოსახლეობის 64.9% არასდროს ყოფილა ჩართული მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში (ანუ არ მიუღიათ მონაწილეობა, არ ყოფილან ორგანიზატორები და ა.შ.). საკითხის მიმართ ნეიტრალურია ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 29%; მათი ნაწილი ამ პოზიციას აფიქსირებდა ინფორმაციის დეფიციტის გამო (ანუ არ ჰქონდათ ინფორმაცია საერთოდ თუ ტარდებოდა რაიმე ტიპის კულტურული აქტივობა მათ რაიონში), ხოლო ნაწილი კითხვაზე პასუხს თავს არიდებდა.

[10] *პასუხი -„არ ვიცი“-ს დაფიქსირებისას რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ არ იციან კმაყოფილნი იყვნენ თუ არა, იმიტომ რომ თავად არ დასწრებიან მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებას და მათ თემსა თუ სოფელში არ ჩატარებულა არაფერი.

## თავი 6. კულტურული და სათემო ტურიზმის შესაძლებლობები ახმეტის მუნიციპალიტეტში და კულტურული მემკვიდრეობის როლი

კახეთის მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურულ-ტურისტული რესურსების (ბუნებრივი რესურსები, ისტორიული ძეგლები, განვითარებული მეღვინეობები და სხვ. ) შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა. უდავოა რეგიონში სასოფლო (სათემო) და კულტურული ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალის არსებობა.

**კულტურული ტურიზმის** ცნებას საკანონმდებლო დონეზე 1998 წლიდან იყენებენ და იგი მოიცავს *„ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.* [11] ამ მიმართულების განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტებია არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსების, ბაზრის და ა.შ. კვლევა და შინაარსობრივი გააზრება. **სათემო, სოფლის ტურიზმში** კი მოვიაზრებთ სოფლებში არსებული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და სხვა რესურსების ერთმანეთთან დაკავშირებასა და ასახვას სოფლად ტურისტული განვითარების ხედვებში, რათა ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა, ჩართულობა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური სარგებელი უფრო მეტად იყოს წახალისებული.

სასოფლო, კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო რესურსების თვალსაზრისით, ახმეტა ერთ-ერთი გამორჩეული მუნიციპალიტეტია: თავად ისტორიული სოფლები, და ზოგადად, სოფლებში შემორჩენილი ისტორიულ-არქიტექტურული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე, ეროვნული პარკები და დაცული ტერიტორიები, ხეობები და სხვ., სტრატეგიული ხედვის არსებობის შემთხვევაში, კულტურული ტურისტული განვითარების კარგ სასტარტო პოზიციებს ქმნის: ***„რეგიონის პოტენციალის გამოყენების შემთხვევაში რეალური გახდება ისეთი ტურისტული მომსახურების პროდუქტების განვითარება, რომლის საფუძველს კახური ღვინის წარმოების უნიკალური ტექნოლოგია და რეგიონის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა წარმოადგენს. განსაცვიფრებელი პეიზაჟები და დაცული ტერიტორიები მთებში ლაშქრობების, საცხენოსნო ტურებისა და ველოტურების მოსაწყობად კარგ შესაძლებლობას ქმნის“.*** - ვკითხულობთ კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში (2014-2021 წწ.), რომელიც მიმოიხილავს ტურიზმის სექტორში არსებულ გამოწვევებს და სხვადასხვა პრობლემას შორის ასევე შეეხება ალტერნატიული სათავგადასავლო მარშრუტების, კულტურული ტურიზმის განვითარების აუცილებლობასაც. მიუხედევად იმისა, რომ აღნიშნული სტრატეგია ძალაში 2014წ-დან შევიდა, კახეთში სასოფლო ტურიზმის (როგორც ალტერნატიული მიმართულების) განვითარებისკენ, თვალშისაცემი ნაბიჯები გადადგმული არ არის.

ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე, ხელმისაწვდომია ახმეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების გეგმა, რომელიც 2019 წლის სექტემბრით თარიღდება და გარკვეულ ინფორმაციას შეიცავს, მათ შორის, ტურიზმის სფეროში არსებული ვითარების, გამოწვევებისა და მუნიციპალიტეტის მხრიდან ამ გამოწვევების დაძლევის

---

[11] გ. ჩერქეზიშვილი, კულტურული ტურიზმი სიღნაღის მუნიციპალიტეტში. სათემო განვითარების ცენტრი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსები, 2014; გვ.148.

ხედვის/გეგმის შესახებ. მაგ., ადგილობრივი ეკონომიკის შეფასება ხდება თავში 6.1., სადაც ვკითხულობთ: *„ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად წარმოდგენილია სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობით, ტურიზმით, მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროებით. აქედან ბრუნვისა და შემოსავლების გათვალისწინებით ყველაზე იმედისმომცემ და განვითარებად მიმართულებებად ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორები მიიჩნევა [ . . .] ტურისტული განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტების განხორციელება იძლევა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და მოსახლეობის სოციალური შესაძლებლობების ზრდის საშუალებას. ჩატარებული ანალიზის, პრაქტიკული დაკვირვების და დისკუსიების შედეგად გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების შემდეგი მიმართულებები: ეთნო-კულტურული და სანახაობრივი შიდა მუნიციპალური და წრიული ტურები პანორამული გადმოსახედების ჩართულობით და სხვ.“*

მიუხედავად რესურსების მრავალფეროვნებისა და აღნიშნული შეფასებებისა, აქამდე სხვადასხვა (სახელმწიფო თუ კერძო) აქტორის მიერ გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ აღმოჩნდა [12] იმისათვის, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტების სოფლები მეტად ჩაერთოს კულტურული და სათემო, სასოფლო ტურიზმის განვითარების პროცესებში; დღემდე ტურისტული მარშრუტები ახმეტის მუნიციპალიტეტის საკმაოდ ბევრ სოფელ უვლის გვერდს. სათემო და კულტურული ტურიზმის წილიც, გასაგები მიზეზების გამო, ძირითადად, თუშეთზე მოდის. რაც შეეხება ახმეტის მუნიციპალიტეტის სხვა ისტორიულ სოფლებსა და ხეობებს, აქ არსებული მრავალფეროვანი რესურსების სათანადო ათვისება ჯერ არ დაწყებულა და არც ერთიანი, სოფლების მაცხოვრებლების ინტერესებზე ორიენტირებული განვითარების ხედვა არსებობს.

ზემოთ ნახსენებ ანგარიშში აღწერილი გამოწვევებისა და პრობლემების მოგვარების ერთ-ერთ მიზნად და ხედვად ტურიზმის განვითარების მიზნით მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სახელდება; აღნიშნული მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს:

- ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის შექმნას;
- კონკრეტული ადგილების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და რეკრეაციული ზონების მოწყობას;
- ფესტივალებისა და სახალხო დღესასწაულების ჩატარებას;
- საერთაშორისო გამოფენებსა და ფესტივალებში მონაწილეობას;
- ტურისტული და საინვესტიციო ობიექტების, ადგილების ინვენტარიზაციასა, მონიშვნას;
- საინფორმაციო მასალების განთავსება გუგლის რუკაზე.

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურში მოქმედებს ტურიზმის განვითარების განყოფილება. ტურიზმის განყოფილებას ასევე შეთავსებული აქვს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის ფუნქცია, თუმცა, შეუსაბამო პირობების (სათანადო სივრცის არ არსებობა) გამო სათანადოდ ვერ ხორციელდება ტურიზმის ცენტრის მომსახურების მიწოდება.

---

[12] დოკუმენტებში საუბარია კონკრეტულ განვითარების და ინფრასტრუქტურულ გეგმებზე, რომელთა განხორციელებაც, როგორც ჩანს, პანდემიის გავრცელებამ შეაფერხა.

შეჯამების სახით, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების კუთხით, არსებობს როგორც უფრო მასშტაბური ინფრასტრუქტურული გამოწვევები, ასევე ნებისა და ხედვის არსებობის შემთხვევაში გაცილებით მარტივად მოსაგვარებელი საინფორმაციო და სხვა სახის პრობლემები.

პროექტის **„აქტიური საზოგადოება კულტურის განვითარებისთვის“** ფარგლებში, მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებულ სოციოლოგიური კვლევაში რამდენიმე შეკითხვა სწორედ ტურიზმს ეთმობოდა.[13] ინტერვიუებში რესპოდენტები აღნიშნავენ ტურიზმის განვითარების საჭიროებას, რათა სოფლებში დამატებითი ეკონომიკური სარგებელი შეიქმნას. ასევე ყოველთვის სიამაყით წამოსწევენ წინ სოფლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, როგორც მნიშვნელოვან სიმდიდრესა და რესურსს.

რაც შეეხება გამოკითხვას, შედეგების მოკლე შეჯამება ასეთია:

- *ახმეტის მოსახლეობის 69.5% მიიჩნევს, რომ ტურიზმი მუნიციპალიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო 23% თვლის, რომ მნიშვნელოვანია;*
- *81.7% თვლის, რომ ტურიზმი მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა; 14.7% თვლის, რომ არ არის, ხოლო 3.5%-ს არ აქვს პასუხი;*
- *20%-ს არ აქვს ინფორმაცია უწყობს თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება ტურიზმის განვითარებას ხელს; 19.5% თვლის, რომ სრულიად უწყობს, 48.1% - მეტნაკლებად უწყობს, ხოლო 12.4% თვლის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება საერთოდ არ უწყობს ხელს ტურიზმის განვითარებას;*
- *74.3% თვლის, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ძალიან შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის განვითარებას.*

მოსახლეობის აზრით, კულტურული ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა როგორც ადგილობრივი კადრების გადამზადება, ისე ტურისტული სივრცეების კეთილმოწყობა, კერძოდ:

| | |
|---|---|
| შეიქმნას კვების ობიექტები, სადაც ტურისტს საშუალება ექნება გაეცნოს ადგილობრივ სამზარეულოს | 72.8 % |
| განხორციელდეს არსებული კულტურული ძეგლების და მუზეუმების რესტავრაცია-მოდერნიზაცია | 72.0 % |
| ხელი შეეწყოს საოჯახო სასტუმროების შექმნა-განვითარებას | 71.7 % |
| ადგილობრივმა ხელისუფლებამ უფრო სწორად უნდა განსაზღვროს ბიუჯეტი, მათ შორის, კულტურის სფეროსთვის გამოყოფილი ბიუჯეტი | 66.7 % |
| ხელი შეეწყოს შემოქმედებით ინდუსტრიებს: სხვადასხვა ტიპის ფესტივალები, ტრადიციული წარმოება, საგამანათლებლო სივრცეების განვითარება, | 62.1 % |
| ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის | 59.9 % |
| ხელი შეეწყოს სასტუმროების შექმნა-განვითარებას | 55.5 % |

[13] თუშეთის ეროვნული პარკის და სოფლების შესახებ წინამდებარე დოკუმენტში საუბარი არ არის.

## 6.1. კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა და სათემო ტურიზმი

კულტურული და სათემო ტურიზმის განვითარებაში დიდი წვლილი სწორედ სოფლად არსებულ კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებს, მათ სათანადო მოვლა-პატრონობას შეიძლება ენიჭებოდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახმეტის მუნიციპალიტეტის თითქმის ყოველ სოფელსა თუ თემში ვხვდებით ისტორიული მემკვიდრეობის არაერთ ძეგლს, თუმცა, რიგ შემთხვევებში ძეგლების ნაწილი გამოუკვლეველია და ხშირად საკმაოდ მძიმე ვითარებაში იმყოფება (მაგ., უშუალოდ ძეგლის ან მისი ნაშთების საფრთხის შემცველ მდგომარეობაში ყოფნა, დაბინძურებული შემოგარენი დასხვ.).

კვლევის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის სამსახურისგან მოხდა ძეგლთა სიის გამოთხოვაც და მოსახლეობის აზრის კვლევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ დამოკიდებულებების შესახებ. კვლევის მიზანი იყო დაედგინა, თუ რამდენად აქვს მოსახლეობას გააზრებული მათი მნიშვნელობა.

კვლევის შედეგების მიხედვით, მაგ/ *ახმეტის მოსახლეობის:*

- *96.2% მიიჩნევს, რომ კულტურული მემკვირეობის დაცვა საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია. ხოლო 90% მიიჩნევს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება და მათში მეტი ფინანსების ჩადება ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას;*
- *43% მიჩნევს, რომ საქართველოში კულტურული მემკვიდრეობა მეტნაკლებადაა დაცული, 10%-ს მიაჩნია, რომ სრულიად დაცულია, 19.9% მიიჩნევს, რომ საშუალოდაა დაცული, 7% -მეტნაკლებად არ არის დაცული და 9.5% - საერთოდ არ არის დაცული;*
- *38.8%-ს მიაჩნია, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობა მეტნაკლებად დაცულია, 16.3%-ს მიაჩნია, რომ სრულიად დაცულია, 17.2% - საშუალოდ დაცულია, 8 %-ს მიაჩნია, რომ მეტნაკლებად არ არის დაცული, ხოლო 7% ფიქრობს, რომ საერთოდ არ არის დაცული.*

მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს, შესაძლოა ითქვას, რომ გააზრებული აქვთ საკუთარი როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში, რასაც ადასტურებს მათი პასუხი კითხვაზე: **„რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში?“** 65.4% პასუხობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, 27.6% - მნიშვნელოვანია, ხოლო მოსახლეობის ჩართულობას უმნიშვნელოდ მიიჩნევს მხოლოდ 1%.

კითხვაზე - **„რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში**“ - მოსახლეობა ასე პასუხობს: 61.2 % - ძალიან მნიშვნელოვანია, 30% - მნიშვნელოვანია და მხოლოდ 1.2%-ს მიაჩნია ხელისუფლების ჩართულობა უმნიშვნელოდ.

ხოლო შეკითხვაზე თუ როგორ შეიძლება ჩაერთოს ადგილობრივი მოსახლეობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროცესში, პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

| | |
|---|---|
| ზიანს არ უნდა აყენებდეს კულტურული მემკვიდრეობის მატერიალურ ძეგლებს | 88.7 % |
| ხელს უნდა უწყობდეს ახალგაზრდებში ინტერესის გაზრდას კულტურული მემკვიდრეობის მიმართ და მათს გამოყენებას პრაქტიკულ საქმიანობაში | 72.6 % |
| უნდა ცდილობდეს ტრადიციული კულტურული ელემენტების ავთენტური სახით შენარჩუნებას | 65.8 % |
| ადგილობრივი მოსახლეობა უნდა ცდილობდეს კულტურული მემკვიდრეობის და მისი ღირებულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას ფართო საზოგადოებისთვის | 63.3 % |

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის აზრით, მათი ვალია დაიცვან, გაასუფთავონ და უპატრონონ მუნიციპალიტეტში არსებულ ძეგლებს ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, სოფლებში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების ვერც ფიზიკური მდგომარეობა და ვერც მათ გარშემო არსებული დაბინძურება ხშირად კრიტიკას ვერ უძლებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი შემეცნებით-საგანმანათლებლო საქმიანობა არის ჩასატარებელი სოფლის ახალგაზრდებთან და სკოლა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მთავარი აქტორი და საყრდენი ამ პროცესებში. თუმცა, იმ სოფლებში, სადაც კულტურის სხვა სივრცეებიც არსებობს, შესაძლებელია ფიქრი სოფლის ისტორიის წრეების მუშაობაზე.

## 6.2. ისტორიული სოფლები, როგორც კულტურული ტურიზმის განვითარების რესურსი

სასოფლო და კულტურული ტურიზმის განვითარებაზე მსჯელობისას, გარდა კულტურული და ისტორიული ძეგლების რესურსისა, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ახმეტის მუნიციპალიტეტში არსებული ისტორიული სოფლების პოტენციალის გააზრებასაც. კერძოდ, ერთი სოფლის ან თემის ფარგლებში იმ მატერიალური და არამატერიალური რესურსების ერთობლიობას, რომელთა ურთიერთდაკავშირებითაც შესაძლებელია ალტერნატიული მარშრუტების განვითარება შედარებით შემოფარგლულ გეოგრაფიულ არეალში.

პროექტის ფარგლებში, სოფლებში ჩატარებული ინტერვიუების დროს, კარგად გამოიკვეთა მუნიციპალიტეტის რამოდენიმე სოფლის ( მაგ. მაღრაანი, მატანი, ზემო ხოდაშენი და სხვ.)დიდი შესაძლებლობები სასოფლო ტურიზმის და კულტურულ-ისტორიული მარშრუტების განვითარების მხრივ. აღნიშნულ საკითხს კი, პირველ რიგში, არსებული მატერიალური და არამატერიალური რესურსების დეტალური შესწავლა, გააზრება და ერთ სოფლის კულტურულ-ტურისტული განვითარების კონცეფციაზე მუშობა ესაჭიროება; მომდევნო ეტაპი კი კონცეფციის იმპლემენტაციისათვის სათანადო დაფინანსების სქემა შეიძლება იყოს.

**მაგალითი # 1: სოფ. მატანი**

*სათემო და კულტურული ტურიზმის განვითარების კუთხით დიდი შესაძლებლობები აქვს სოფელ მატანს. ამ ისტორიული სოფლის შემოგარენში 50-ზე მეტი კულტურული ძეგლი და ნაშთია შემორჩენილი. მართალია, კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მხოლოდ 20-30 ძეგლს აქვს მინიჭებული, მაგრამ სამწუხაროდ სტატუსის მინიჭება არ ნიშნავს ძეგლის ავტომატურ გადარჩენას და მთლიანად კახეთში არაერთი სტატუსის მქონე ძეგლი (საერო თუ საკულტო) საჭიროებს დაუყოვნებლივ გამაგრებას, კონსერვაციას თუ რესტავრაციას. ეს პრობლემა სოფელ მატანსაც ეხება, თუმცა, პრობლემა ადგილობრივ დონეზე არ გვარდება. მატანის ისტორიული ძეგლები ძალიან მრავალფეროვანია - ეკლესიები, სალოცავები, საყდრები, ციხეები, სამარხები, ნასოფლარები და სხვ.; მაგ. სოფლის შემოგარენში გვხვდება*

*ასევე ციკლოპური ნაგებობა „დევების ნასადგომარი“.* ***„ნაგებობა იმ დროის უნდა იყოს, როცა ადამიანის გამოყოფა ხდებოდა ცხოველთა სამყაროსგან. ამავე ტერიტორიაზე აღმოჩენილია მამონტის ძვალი.“*** [14] *ტყეებში შემორჩენილ სხვადასხვა ძეგლამდე მისასვლელად ხშირად მაღალი გამავლობის მანქანა არის საჭირო. ხშირია შემთხვევა, როცა სოფლის მოსახლეობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმ რესურსების შესახებ, რაც სოფელს გააჩნია. მაგ., „დევების ნასადგომარის“ და მისი საინტერესო გარემოს შესახებ მწყემსებმა უკეთ იციან, რადგან ფეხით გადაადგილება უწევთ. მიუვალი ბილიკების შესახებ ინფორმაცია სრულიად ხელმიუწვდომელია სხვა სტუმრებისათვის. ამ მხრივ, არც ბილიკებია განვითარებული და არც ნიშნულების სისტემა ან გამყოლების სერვისი.*

*მატანს უკავშირდება ასევე ჩოლოყაშვილებისა და, შესაბამისად, უახლესი ისტორიის ისეთი ეპიზოდები, რომელთა საინფორმაციო ვიზუალიზაცია სოფელში, შემეცნებითი ტურების შემუშავება ასევე შეუწყობდა ხელს სოფლად სათემო და კულტურულ-ისტორიული ტურიზმის განვითარებას. შესაბამისად, აღნიშნულ სოფელში შემორჩენილი კულტურული მემკვიდრეობა და ძეგლები, არქეოლოგიური გათხრები იძლევა ძალიან ფართო სპექტრს ისტორიის თვალსაჩინოდ წარმოდგენისა.*

**მაგალითი # 2. სოფ. ზემო ხოდაშენი**[15]

*ზემო ხოდაშენი საუფლისწულო მამული ყოფილა (ერეკლეს ვაჟის, მირიანის); სოფლის ზედა უბანში ერეკლე მეფის ოჯახის პატარა რეზიდენციაც ყოფილა განთავსებული. ნაშთები აღარ ჩანს, მაგრამ სოფლის მაცხოვრებლების მეხსიერებაში ეს ცოდნა ისევ ცოცხლობს. აქ დღემდე არის შემორჩენილი (სოფლიდან 1-12 კმ) მე-12-ე საუკუნის დედათა მონასტერი, გალავნებით შემორტყმული დიდი კომპლექსი. მართალია, შენობა (გუმბათოვანი ტაძარი) და გალავნის დიდი ნაწილი შენარჩუნებულია, ძნელია იქ მისვლა, იმდენად მოუწესრიგებელია გზა. მოცულობით დედათა მონასტერი მეზობელი სოფლის, აწყურის წმინდა გიორგის არ ჩამოუვარდება. სოფელში გარდა აღნიშნულისა, არის ხარების ეკლესია და ისტორიული ციხე მარანი, რომელიც ახლა აღდგენილია. ხარების ეკლესიასთან ბერები ცხოვრობდნენ. იმ ადგილს, სადაც ეს ბერები ღვინოს აყენებდნენ, ისევ „ბერიზვარს“ ვეძახით. გალავნის ნაშთი ამ ორ ჰექტარ მიწაზე ისევ ამჩნევია. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, სოფლის შემოგარენში, სოფლის ზემოთ ტყეებში და მთაში ბევრი ძველი ეკლესიაა (50-ზე მეტი მაინც), რომელთა აღდგენა და შესწავლა სოფლის განვითარების საქმეს წაადგებოდა. იქამდე საფეხმავლო და ორხიდიანი სამანქანე გზა მიდის. გზად ტყეში, უძირო ტბის სახელით ცნობილი ტბაც არის. მრავალი წელია ტბა არ გასუფთავებულა. იქაურობა ატყევებული და მოუვლელია. დაუფასებელია მისი ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალი. სოფლიდან 10-15 კილომეტრში საზაფხულო საძოვრებია, რომელსაც სოფელში „ბაკანას“ ეძახიან. იქ გოგირდოვანი წყლებია. საბჭოთა დროსაც ადიოდა ამ ადგილებში ხალხი ოჯახებით და ისვენებდნენ კარვებში. ამ მიდამოებში ხევსურების და ფშავლების ნასოფლარებია. საძოვრებამდე მისასვლელი გზა ახლა გაფუჭებულია და მხოლოდ „ტყის მანქანები“ ადიან.*

---

[14] ინფორმანტი - ნათელა ჯავახიშვილი , 10.02.2020. (პირისპირ ინტერვიუ, აუდიო ტრანკრიპტი. ინტერვიუერი : თეონა მინდიაშვილი, მარი ხაჩიძე )

[15] ინტერვიუების საფუძველზე, რომელთა ჩაწერაც მოხდა თუშური ბრენდის გუნდის მიერ

*არქეოლოგიური სამუშაოები ზემო ხოდაშენში არასდროს ჩატარებულა. კომუნისტების დროს, ბოლოსკენ (1980-იან წლების ბოლოს), სტუდენტები იყვნენ ჩამოსულები კვლევაზე, ეს იყო და ეს. ტურიზმის განვითარების კუთხით სოფელში რაღაც ნაბიჯები იდგმება, არის ერთი-ორი მცირე მარანი (მაგ. პეტრიაშვილების, ასევე მარანი „სათავადო და „ხოდაშნური"), ერთი საოჯახო სასტუმრო, თუმცა, სოფლის კეთილდღეობაზე ეს ჯერ ვერ აისახება; ბადაგონის ღვინის ქარხანაში საქმდება მოსახლეობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა მეტი სერვისის განვითარდეს და არც მარტო ტურიზმი იქნება გამოსავალი."*

მსგავსი სოფლები ახმეტის მუნიციპალიტეტში არაერთია. შესაძლოა, საინტერესო იყოს მიდგომა ხეობების ერთიანი განვითარების კუთხთაც (მაგ. მოქალაქეთა ინიციატივით მსგავსი პროცესი შეინიშნება პანკისის ხეობაში. შესაძლებელია ფიქრი ილტოს ხეობის ერთიან კულტურულ-ტურისტულ პოტენციალზეც).

კახეთის რეგიონის განვითარების 2014-2020 წლების სტრატეგიაში აღნიშნულია რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელი ახალი მარშრუტების შესწავლისა და მთელი რიგი მარკეტინგული ღონისძიებების გატარების აუცილებლობა. საინფორმაციო ცენტრის გახსნა მუნიციპალიტეტში, როგორც ზემოთაც უკვე ვახსენეთ, ისედაც იგეგმება, თუმცა, საინფორმაციო ცენტრის მიზანი მხოლოდ მუნიციპალიტეტში ჩამოსული ვიზიტორების საინფორმაციო უზრუნველყოფა კი არა, პირველ რიგში მუნიციპალიტეტის იმ მოსახლეობის კონსულტირება და ინფორმაციით აღჭურვა უნდა იყოს, ვისაც სასოფლო და კულტურულ ტურიზმში უნდა ჩაერთოს და არ ფლობს სათანადო ინფორმაციას არსებული პროგრამების, სხვადასხვა შესაძლებლობისა და ა.შ. შესახებ.

ზემოთ აღწერილი კვლევის შედეგების, სიტუაციის მიმოხილვის, მაგალითების განზოგადოებითა და დაგროვილი გამოცდილების ანალიზით შეიძლება რამდენიმე ძირითადი რეკომენდაციის გამოყოფა, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობდა ერთი მხრივ, სათემო კულტურული ტურიზმის განვითარებას და, მეორე მხრივ, სოფლებში მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მის დაკავშირებას სოფლის განვითარების ერთიან პროცესებთან.

## 7. რეკომენდაციები ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს განვითარებისათვის

### ა) კულტურის სფეროს მენეჯმენტი და კულტურის სერვისები

- მუნიციპალიტეტის დონეზე კულტურის სფეროს განვითარების გრძელვადიანი გეგმის (სტრატეგიის) შემუშავება, ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობით და მასშტაბური წინარე კვლევის საფუძველზე (მიზნობრივი ჯგუფების, სტრატეგიული მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მკაფიო იდენტიფიცირება და შესწავლა, სოფლების მეფინგი კულტურის სერვისების და ინფრასტრუქტურის კუთხით, სოფლებში დემოგრაფიული მდგომარეობა და სხვ.), სასურველია, სტრატეგიასთან ერთად შემუშავდეს პირველი სამი წლის კონკრეტული სამოქმედო და ფინანსური გეგმა. ადგილობრივი კულტურის სტრატეგია უნდა უკავშირდებოდეს კულტურის სერვისების მაქსიმალურ ზრდას და

მრავალფეროვნებას, რათა რაც შეიძლება მეტმა მიზნობრივმა ჯგუფმა შეძლოს მუნიციპალურ კულტურულ ცხოვრებაში ჩართვა;

- არსებული კულტურის ინფრასტრუქტურის კრიტიკული ანალიზი და ოპტიმიზაციაზე მორგებული გეგმარება: სათემო კულტურის ცენტრების განვითარება ისე, რომ ერთი ცენტრი რამდენიმე სოფელს მაინც ემსახურებოდეს. აღნიშნული ცენტრები ინფრასტრუქტურულად და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით უნდა იყოს გამართული და თანამედროვე სტანდარდების შესაბამისი;
- სათემო კულტურის ცენტრები (რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება დაფუძნდეს არსებული ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების, სამუსიკო სკოლების თუ სხვ. ბაზაზე) ადგილობრივ მოსახლეობას უნდა სთავაზობდნენ მათ საჭიროებებზე მორგებულ კულტურის პროგრამებსა და სერვისებს, ასევე, მასპინძლობდნენ შემეცნებით ღონისძიებებს და თემში ახალისებდნენ კულტურის ცხოვრებაში ჩართულობას (თანა-დაფინანსებული წრეების მუშაობა, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, სოფლის ისტორიის შემსწავლელი წრე, ფილმების ჩვენებები, დასუფთავების აქცია, სოფლის მეხსიერების შეგროვება და სხვ.). ამავე ბაზაზე უნდა წახალისდეს ახალგაზრდული თანა-მონაწილეობისა და ჩართულობის პროგრამები;
- ასევე შესაძლოა ფიქრი ტრადიციულ ელემენტებზე დაფუძნებული მულტიფუნქციური არტ-რეზიდენციების, ინკუბატორების შექმნა-განვითარებაზე, რომელიც შეითავსებს საინფორმაციო სამუშაო (მასტერკლასებისა და ვორკშოპებისთვის) საგამოფენო, სატრეინინგო, საკონფერენციო შემეცნებით და კულტურულ საგანმანათლებლო, ახალგაზდულ სივრცეებს, კაფეს, ბიბლიოთეკას, მაღაზიას და შექმნის ხელსაყრელ გარემოს ქართველი და უცხოელი არტისტებისთვის;
- სტრატეგიის შესაბამისად კულტურის სამსახურების პროგრამული მუშაობის პრინციპებზე გადაყვანა და გამჭვირვალე მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის დანერგვა. ეს ნიშნავს შესაბამისი სამსახურების შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტის სისტემის შემუშავებას;
- კულტურის სფეროში დასაქმებული პირებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო მოდულების (არაფორმალურ განათლება, ტრენინგები და გადამზადებები) შეთავაზება თანამედროვე კულტურის მენეჯმენტის მიდგომებში, პროექტების დაგეგმვასა და მართვაში და ღონისძიებების მენეჯმენტში;
- კულტურის სფერო, ისევე როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში (იხ. სიღნაღი კულტურისათვის 2014), მჭიდროდ უკავშირდება ტურიზმის განვითარების საკითხებს. შესაბამისად, ადგილზე კულტურული სათემო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა უნდა მოხდეს სწორედ კულტურის ერთიანი სტრატეგიის ჭრილში და ფარგლებში, რათა ამ ორმა მიმართულებამ ერთმანეთი შეავსოს და გააძლიეროს;

- სერვისების მხრივ კი, მუნიციპალიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ხარისხიანი და მოსახლეობის ინტერესებზე დაფუძნებული ფესტივალების ორგანიზებას და ჩატარებას. მათი საშუალებით შესაძლებელია როგორც მასპინძელი თემების ტრადიციების შენარჩუნების წახალისება, ასევე მნიშვნელოვანი ეკონომიკური შემოსავლების გენერირება ქვეყნის (მუნიციპალურ) ბიუჯეტში. ასევე, ფესტივალები ხელს უწყობს საზოგადოების დაინტერესებას კულტურის სხვადასხვა მიმართულებით და წარმოდგენს როგორც ტრადიციული კულტურის შენარჩუნება-პოპულარიზაციის, ასევე მოსახლეობამდე კულტურული სიახლეების მიტანის საშუალებას. სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში ფესტივალები შესაძლოა იქცეს ადგილობრივი ეკონომიკის

დამატებით წამახალისებელ ფაქტორად, რადგან მათ აქვთ ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობა;

- პროგრამული დაგეგმვის კვალდაკვალ, ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა იფიქროს საკადრო პოლიტიკაზე, კადრების სამუშაო აღწერილობების დაზუსტებასა და ფუნქციების მკვეთრ განსაზღვრაზე, საშტატო ოპტიმიზაციაზე სერვისების მრავალფეროვნების სასარგებლოდ;
- კულტურის სფეროში დამატებითი შემოსავალის მისაღებად მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს სარგებლობის უფლებაში მქონე კულტურული დანიშნულების მქონე შენობა-ნაგებობების სათანადო მოვლა-პატრონობა და მათი ფუნქციების ხელახალი გააზრება. კულტურის ინფრასტრუქტურიდან შემოსული თანხის რეინვესტირება კი, უნდა ხდებოდეს ისევ კულტურის სფეროში;
- კულტურის სფეროსთვის გამოყოფილი სახსრების ეფექტიანი მართვის მიზნით, ბიუჯეტის დაგეგმვისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული საზოგადოების (ადგილობრივი მოსახლეობის) აზრი და მათი მოთხოვნა სერვისებზე.

**ბ) სათემო კულტურის რესურსების კვლევა**

- თემში კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისათვის, პირველ რიგში, საჭიროა სწორედ კვლევა, რომელიც შემდეგ ახალი ხედვების და კონცეფციების შემუშავებას დაედება საფუძვლად. იგი მოიცავს სოფლებში მატერიალური და არამატერიალური კულტურის რესურსების გამოვლენას და აღწერას; მაგ., ერთი სოფლის ფარგლებში შეიძლება აღიწეროს: საკულტო და საერო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (ტრადიციული კახური საცხოვრისები, ძველი მარნები, თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობები, ფეოდალური პერიოდის ნასახლარები (გალავნიანი ეზო-კარები, თავდაცვითი კოშკითა და კარის ეკლესიით); ისტორიული მეხსიერება, ლეგენდები, გადმოცემები, ტოპონიმებთან დაკავშირებული თქმულებები; უახლესი ისტორია, ახმეტის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში განსაკუთრებული აქცენტით 1924 წლის აჯანყების და მისი შედეგების (რეპრესიები) შესახებ; ამჟამად მოქმედი მარნები, მეურნეობები, სასტუმროები; რეკრეაციული ზონები (არსებული და პოტენციური); საფეხმავლო ბილიკების პოტენციალი; სახელოსნოები და სხვა შემოქმედებითი ინდუსტრიები;
- რამდენადაც მუნიციპალურ სამსახურებს მსგავსი კვლევებისათვის შესაძლოა არ ჰქონდეთ სათანადო რესურსები (ადამიანური, კომპეტენციები და ფინანსური). სოფლის კულტურის რესურსების კვლევა შესაძლებელია სოფლის სკოლის მოსწავლეებისა (მაგ., სამოქალაქო და ეკო კლუბები) და სოფლად მოქმედი სათემო ჯგუფების (იქ, სადაც არის ასეთები) ჩართულობით, cultural mapping-ის მეთოდოლოგიაში სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით (მაგ., პედაგოგების ან სხვა ადგილობრივების ერთჯერადი გადამზადება და შემდეგ დახმარება კონსულტაციებით კვლევის და მონაცემების დამუშავების ეტაპებზე);

- სოფლების კულტურის რესურსების მეფინგის შედეგები უნდა თავსდებოდეს ერთიან, განახლებად მონაცემთა ბაზაში, რომელსაც სასურველია, სისტემატურად მართავდეს ერთი მაკოორდინირებელი უწყება;
- შესაძლებელია ფიქრი სოფლის ისტორიის წრეების/კლუბების შექმნის წახალისებაზე. გამოცდილება გვაჩვენებს, რომ თავად სოფლის მცხოვრებლები/ახალგაზრდები კულტურის რესურსების აღწერის პროცესში მონაწილეობით, ხელახლა აღმოაჩენენ და იაზრებენ საკუთარი სოფლის ისტორიას და მნიშვნელობას. ამ დროს, გარდა კვლევის მეთოდოლოგიის სწავლისა თუ ზოგადი კომპეტენციების გაუმჯობესებისა, იცვლება დამოკიდებულება საკუთარი სოფლის და აღწერილი ობიექტებისა, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. ასევე, ჩნდება სივრცე ახალი იდეების გენერირებისა და სოფლის კულტურულ-ტურისტული განვითარებისათვის და იზრდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ჩართულობის კულტურა;
- კვლევის დასრულების შემდეგ საჭიროა დაიწყოს მსჯელობა იმის თაობაზე, თუ როგორ გავაგებინოთ რაც შეიძლება მეტ ადამიანს სოფელში არსებული უცნობი რესურსების შესახებ; დავეხმაროთ მათ ადგილზე ინფორმაციის მიღებაში, განვავითაროთ საფეხმავლო და სხვა ალტერნატიული (სამანქანე, საცხენოსნო, ველო და სხვ.) ტურები; მოვნიშნოთ და მოვაწესრიგოთ სატყეო ბილიკები და სოფლის სათანადო ინფრასტრუქტურა. ასევე, სად და რა ფორმით უნდა დამაგრდეს ნიშნულები და როგორ შევუწყოთ ხელი იმას, რომ მუნიციპალიტეტის სტუმრებმა ცენტრალური ტურისტული გზიდან უფრო ხშირად გადაუხვიონ სოფლებში და სხვ. სასურველი იქნებოდა, თუნდაც ერთ სამოდელო კულტურულ (სათემო) მარშრუტის განვითარებაზე მუშაობა. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და მონაწილეობით ერთი სოფლის ან ერთი ხეობის ან სოფლების დამაკავშირებელი სატყეო ბილიკების კონცეფციების პილოტირება (სათემო ტურიზმის განვითარების მხრივ შესაძლებელია ფიქრი ასევე ერთი ხეობის ფარგლებში მარშრუტების და ინფრასტრუქტურის განვითარებით, რომელიც რამდენიმე სოფელს მოიცავს და ერთიან სამოგზაურო მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს). ამ კუთხით, საინტერესო იქნება სათემო ტურიზმის პრინციპებზე დაყრდნობით ისტორიული სოფლების, როგორც ერთი სოფლის ტურის კონცეფციაზე მუშაობა;
- სამოდელო მარშრუტების მონიშვნისას მნიშვნელოვანია სოფლის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება; ტურისტულ მარშრუტებში სოფლის შესახებ ინფორმაციის ასახვა და ტურისტული სააგენტოების ინფორმირება; ადგილობრივი მეგზურების გადამზადება; ასევე, საინფორმაციო დაფების განთავსება, როგორც ცენტრალურ გზებზე, ასევე უშუალოდ ადგილებზე და რაც შეიძლება მეტი მარკირება მიუვალ ძეგლებთან. დამატებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის პროფესიული სასწავლების ბაზაზე შესაძლებელია დაინერგოს ან არსებობის შემთხვევაში გაძლიერდეს გიდების გადასამზადებელი სასწავლო კურსი.

**გ) მუნიციპალური მუზეუმები**

- მუზეუმების რეკონცეფცია: სასურველია მუნიციპალიტეტში არსებული ოთხივე მუზეუმის შინაარსის, იქ წარმოდგენილი ექსპოზიციის და არსებული პროგრამების (საზოგადოების მოზიდვასთან დაკავშირებით) კრიტიკული ანალიზი და ექსპოზიციის

განახლება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა, გულისხმობს მუზეუმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასაც და შემდეგ მათ მუზეუმების ბაზაზე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას. მუზეუმები საგანმანათლებლო პროგრამებს შეიძლება სთავაზობდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს და განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის სკოლებს; შესაძლებელია ფიქრი ინტერმუნიციპალურ თანამშრომლობაზე. მაგ., მეზობელ თელავის მუნიციპალიტეტთან და მის სკოლებთან და მაგ., ისტორიის გასვლითი გაკვეთილის ან სხვ. ფორმატის ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვა;

- მნიშვნელოვანია მუზეუმების პერსონალის გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. ძალიან მნიშვნელოვანია, მუნიციპალური სამუზეუმო გაერთიანების სამსახურში მუშაობდნენ პროფესიონალები და მაღალი მოტივაციის (და შესაბამისი ანაზღაურების) ადამიანები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იქნებიან პროგრამულ მუშაობაზე. შიდა მმართველობითი სისტემაც, სასურველია, იყოს გამჭვირვალე და მეტად მოქნილი; მაგ., კონკრეტული მუზეუმის მიერ დამატებითი ფონდების მოძიების კუთხით. ასევე აღსანიშნავია ამ სფეროში მომუშავეთა დაბალი ანაზღაურება, რაც ალბათ, ძალზე უარყოფითად აისახება მოტივაციასა და პროაქტიულ მიდგომებზე.